საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 10 ივლისი. 2020 წ. №85 (9011) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ანაკლიის კლიმატური და გეოგრაფიული შესაძლებლობები ტამანისას ბევრად აღემატება

8

ტამანმა ანაკლია ჩაძირა?

ლიფტის შახტში ჩავარდნილი 6 წლის ბიჭი გონს მოვიდა

წინა კვირას გლდანში დატრიალებულმა უბედურმა შემთხვევამ მთელი საქართველო შეძრა. გლდანში, მესამე ა მიკრორაიონში, ლიფტის შახტში 6 წლის ბავშვი ჩავარდა.

მოზარდი მრავლობითი მოტეხილობებითა და შინაგანი დაზიანებებით თემქაზე, ბავშვთა პედიატრიულ „პრივატ კლინიკაში" მშობლებმა საკუთარი ავტომობილით მიიყვანეს. შემთხვევიდან მეექვსე დღეს პატარა პაციენტი გონს მოვიდა.

ექიმების განცხადებით, მთავარი საფრთხე ჩავლილია. „პრივატ კლინიკის" ექიმები მოზარდის მდგომარეობის შესახებ ოფიციალურ კომენტარს უახლოეს დღეებში გააკეთებენ. მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების გამო, მოზარდი რეანიმაციული განყოფილებიდან პალატაში გუშინ გადაიყვანეს.

სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით საფუძველი ჩაეყრება ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლის ზრდას 12 მლრდ აშშ დოლარით, დაახლოებით 10 წელიწადში ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 51 მლრდ დოლარს მიაღწევს. პროექტებში დასაქმდება 400 ათასზე მეტი ადამიანი საშუალო ხელფასით — 4500 ლარი, საბოლოოდ მოიხსნება უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა, მკვეთრად შემცირდება მიგრაციული პროცესები, რადიკალურად გაუმჯობესდება დემოგრაფიული სიტუაცია, ანუ საქართველო მართლაც გაბრწყინდება.

რევაზ გოგოხია: უფრო მტკიცედ უნდა მოვირგოთ ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის „სამოსელი"!

4

3

ზაალ ანჯაფარიძე: ქართული ჟურნალისტიკა – რომანტიზმიდან პრაგმატიზმამდე

გონივრული იქნება, თუ აია სოფია კვლავაც ნეიტრალურ ადგილად დარჩება

საქართველოს საპატრიარქო სტამბოლში მდებარე აია სოფიას მუზეუმთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია აკვირდება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ აია სოფიამ, რომელიც აშენდა, როგორც გამორჩეული ქრისტიანული ეკლესია და ასე ფუნქციონირებდა თითქმის, 1000 წლის განმავლობაში, შეიძლება, შეიცვალოს მისი სტატუსი.

ასევე ცნობილია, რომ თურქული მხარის მიერ გაკეთებული ეს განცხადება გარკვეული მიზეზებით იყო განპირობებული; თუმცა, ამჟამად, რადგან კაცობრიობა მრავალი გლობალური გამოწვევის წინაშე დგას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის კეთილდღეობის შენარჩუნებას და განმტკიცებას. ვფიქრობთ, დღეს ეს იქნება გონივრული ნაბიჯი, თუ აია სოფია დარჩება, როგორც ნეიტრალური ადგილი.

თურქეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის მიმართ პატივისცემის გამო, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხის შესახებ აღქმული იქნება არა როგორც ჩვენი ჩარევა მის შიდა საქმეებში, არამედ, როგორც ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებლური ეკლესიის გულისტკივილი და მოსაზრება.

ვიმედოვნებთ, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური, მეგობრული და სტრატეგიული ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც ძალიან სასარგებლო იქნება ორივე ქვეყნისთვის", — ნათქვამია განცხადებაში.

დიდებულ გმირთა და სათაყვანებელ მამულიშვილთა სამყაროში

როცა 1996 წელს მე და კიდევ რამდენიმე კაცი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებად აგვირჩიეს, ეს ჩემთვის უდიდესი სიხარული იყო. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მსოფლიოს არცერთ სხვა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ხელოვნების მუშაკებს აკადემიკოსებად არ ირჩევენ — ისინი, როგორც წესი, დარგობრივი აკადემიის წევრები ხდებიან, ამდენად, ეს მარტო ჩვენი აკადემიის გამორჩეული ნიშანია.

მამა-შვილი კოტე და მერაბ მერაბიშვილები სახელოსნოში

ხელოვანი დროში

6-7

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხვალ, 11 ივლისს

მთავრობა მუშაობს

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ: ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲝᲠ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲔᲑᲘ – ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲐ, ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ

დღეს ჩვენ განვიხილავთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს – რამდენიმე ქვეყნის აეროპორტს ამოვიღებთ ნოტამის გავრცელების არეალიდან, რაც ნიშნავს შეზღუდვებს საერთაშორისო ფრენებზე, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა თქვა, ეკონომიკის სამინისტრო, დავალების შესაბამისად, პირდაპირ მოლაპარაკებებს ახორციელებს ევროპულ ავიაკომპანიებთან, იმისთვის, რომ პირდაპირი ფრენები აღდგეს მაქსიმალურად ეფექტურად და სწრაფ დროში.

„სანამ ეს მოხდება, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე ქართული ავიაკომპანია, ისევე, როგორც ჩვენი უცხოელი პარტნიორი ავიაკომპანიები განაახლებენ ჩვენი მოქალაქეების მიზნობრივ გამოყვანას სხვადასხვა დედაქალაქებიდან, რაც არის ერთმნიშვნელოვნად სოციალური პროექტი, ჩვენი ქვეყნის მთავრობის ვალდებულება და ეს პროგრამა გაგრძელდება მანამ, სანამ ამაზე იქნება მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რასაც გვიდასტურებს ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო“.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲒᲕᲡᲛᲔᲜᲘᲐ, ᲬᲐᲒᲕᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲒᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ

ᲩᲕᲔᲜ ვიწყებთ ახალ პროექტს „იმოგზაურე საქართველოსთვის“ და თითოეულ თქვენგანს მინდა ვთხოვო, რომ ამაში აქტიურად ჩავერთოთ. ჩვენ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ახლა, პანდემიის წყალობით გვაქვს შესაძლებლობა ხელახლა აღმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყანა და მოვემზადოთ იმისთვის, როდესაც სრულად გაიხსნება საერთაშორისო ტურიზმი, საუკეთესო გიდები ვიყოთ ჩვენი სტუმრებისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ტურისტულად მნიშვნელოვან რეგიონებს კრიზისისგან გამოწვეული პრობლემები მაქსიმალურად შეუმსუბუქდეს.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛ�პᲔᲜᲡᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲓᲐ

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად თვითდასაქმებულთა რეგისტრაციის ვადა 1 აგვისტომდე გახანგრძლივდა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფოსგან დახმარება მიიღო 121 719-მა თვითდასაქმებულმა და 129 000-ზე მეტმა დასაქმებულმა, რომელმაც სამსახური დაკარგა.

„მოგეხსენებათ, დარგობრივი დახმარებების გარდა ჩვენ გვქონდა მთელი რიგი სოციალური დახმარებების პაკეტი ჩვენი მოქალაქეების დასახმარებლად, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, ან იყვნენ თვითდასაქმებულები და ოჯახში შემოსავლის გარეშე დარჩნენ. ასეთი ადამიანების რეგისტრაციის ვადა ამოწურულია, მაგრამ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ეს ვადა 1 აგვისტომდე გაგრძელდეს. ვინც დააგვიანა ან ვერ შეძლო ელექტრონულად საჭირო საბუთების მოძიება, ამ ადამიანებისთვის ვადა 1 აგვისტომდე გაგრძელდება და თუ საჭირო იქნება, ამ ვადას შემდგომაც გავაგრძელებთ, რადგან ყველას კარგად გვესმის, რომ დღეს ჩვენი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, გარდა ეპიდემიასთან ბრძოლისა, არის ის, რომ მივეხმაროთ ჩვენს სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომლებსაც კრიზისის გამო შემოსავალი შეუმცირდათ ან ის საერთოდ დაკარგეს“, – განაცხადა პრემიერმა.

ამასთანავე, მთავრობის გადაწყვეტილებით, მოქალაქეების სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობა თვითდასაქმებულების ნაწილში ფართოვდება და დახმარებით საზღვარგარეთ სეზონურ სამუშაოებზე დასაქმებული ადამიანებიც ისარგებლებენ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲘᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲘ“ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲡᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲗ!

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲘ ეროვნული მოძრაობა მთელ სალიბერასტეთს დაგამთავრებთ“, – ამის შესახებ მოძრაობა „მარშის“ წევრი და წარსულში თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე „ქართული ოცნებიდან“ ირაკლი შიხიაშვილი სოციალურ ქსელში წერს. მისივე თქმით, „მარში“ ქართველი ერის დაკვეთას ამ არჩევნებზე შეასრულებს.

„ქართული მარში – ეროვნული მოძრაობა“ ვიქნებით ის ძალა, ვინც მთელ სალიბერასტეთს დაგამთავრებთ სამუდამოდ!!! ჩვენ მისი უდიდებულესობა ქართველი ერის დაკვეთას ვასრულებთ!!!“, – წერს შიხიაშვილი. ცნობისთვის, „ქართულმა მარშმა“ პარტია „ქართული მარში – ეროვნული მოძრაობა“ დააფუძნა და მის რიგებს რამდენიმე კვირის წინათ თავად შიხიაშვილიც შეუერთდა.

„ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“ – ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ!

საქართველოს მთავრობის სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ WTPO Awards 2020-ის ფარგლებში, ექსპორტის სტიმულირების და მხარდაჭერის კუთხით მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად დასახელდა. ინფორმაციას საქართველოს მთავრობა ავრცელებს.

საქართველო ექვს ფინალისტ ქვეყანას შორისაა. ფინალში არიან ორგანიზაციები, რომლებიც ახალისებენ ექსპორტის განვითარების ინოვაციურ და ეფექტურ ინიციატივებს. კონკურსი მიმდინარეობდა International Trade Center-ის მიერ, რომელიც გაერთიანებული ერებისა და მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის საერთო სააგენტოა. გამარჯვებულები 14 ოქტომბერს განაში WTPO-ს მე-13 კონფერენციაზე გამოვლინდებიან.

ᲘᲠᲛᲐ ᲭᲙᲐᲓᲣᲐ: ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲯᲝᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ **გენერალურ პროკურატურაში დოდო აფრასიძის და ირაკლი შოთაძის შეხვედრა გაიმართა. მხარეები სვანეთის ოპერაციაზე მსჯელობდნენ, რა დროსაც აფრასიძეების ოჯახის რამდენიმე წევრი მოკლეს. დოდო აფრასიძე მომხდარის გამო პასუხისმგებელი პირების დასჯას ითხოვს.**

შეხვედრის დაწყებამდე განცხადება აფრასიძის ადვოკატმა ირმა ჭკადუამ გააკეთა.

„ვგულისხმობ ადამიანებს რომლებიც პირდაპირ და ირიბად იყვნენ ჩართული სპეცოპერაციაში, რომელსაც ჩვენ დავარქვით ომი ერთი ოჯახის წინააღმდეგ, ვინაიდან ვიცით, რომ 12 ვერტმფრენი და 2 ათასი შეიარაღებული ადამიანი მონაწილეობდა. ბატონები ბარამიძე, სააკაშვილი, ადეიშვილი და მერაბიშვილი ეს ის მაღალჩინოსნები არიან, რომლებიც ატარებდნენ ბრიფინგებს და ქვეყანას ამცნობდნენ, რომ ამოღებულია აფრასიძეების ეზოდან გვამები კალაძის, გოგინაშვილის. ჩვენ ვიცით, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ვითხოვთ პასუხებს და მათ დასჯას, თუ კი არ დაისჯებიან, ჩვენ გვინდა მოვისმინოთ, რომ სახელმწიფო უარს ამბობს ოჯახის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებაზე“, – განაცხადა ჭკადუამ.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲓᲔᲑᲐᲡ ᲔᲓᲐᲕᲔᲑᲘᲐᲜ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ პროკურატურა ყოფილი გენერლისთვის გალ ჰირშისთვის და მისი სამი ბიზნესპარტნიორისთვის, რომელთაგანაც ერთ-ერთი საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ნათესავია, ბრალის წარდგენას გეგმავს. ამის შესახებ The Times of Israel-ი წერს.

„ყოფილ გენერალს და მის 3 პარტნიორს კომპანიაში „დამცავი ფარი“ ედავებიან საქართველოსთან თავდაცვის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებულ 11 მილიონზე მეტი ოდენობის შემოსავლებზე გადასახადებისთვის თავის არიდებას. სავარაუდოდ, დანაშაულს ადგილი 2007-2009 წლებში ჰქონდა“, – ნათქვამია სტატიაში.



სახელმწიფო პროკურორის თანახმად, ჰირში და მისი პარტნიორები – ოდედ შახნაი, იანივ ადამი და მიხაელ ბენიმინი საქართველოს და რამდენიმე სხვა ქვეყანას თავდაცვის სფეროში კონსულტაციებით და სამხედრო წვრთნებით უზრუნველყოფდნენ, რისთვისაც შემოსავლების სახით 40 მილიონი შეკელი მიიღეს (11,5 მილიონი დოლარი), თუმცა ამის შესახებ საგადასახადო უწყებას არ განუცხადეს.

პროკურატურაში ამტკიცებენ, რომ ბიზნესმენებს ისრაელში, საქართველოში, შვეიცარიასა და გერნზიში კომპანიების და საბანკო ანგარიშების მთელი ქსელი ჰქონდა, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან თანხების მისაღებად იყენებდნენ.

The Times of Israel-ი წერს, რომ ჰირში პარტია „ლიკუდის“ წევრია, ქვეყნის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე მისი კანდიდატურა აქტიურად განიხილება. ბენიმინი კი საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის ახლო ნათესავია. ბოლო პერიოდში ბენიმინის საქმიანობა მოიცავდა ალბანეთში ბინარული ოპციების და კრიპტოვალუტის ქოლ-ცენტრის ხელმძღვანელობას.

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲐ!

ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠ **საავადმყოფოსთან სხვადასხვა ივენთკომპანიის წარმომადგენლები, ანიმატორები და ფოტოგრაფები მივიდნენ. მათ საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორს მარინა ეზუგბაიას ჰკითხეს, რატომ არის აკრძალული ქორწილის გადახდა, როდესაც პარალელურად ქვეყანაში ფართომასშტაბიანი სამთავრობო თუ სხვა ტიპის თავყრილობები იმართება.**

მათივე განცხადებით, შემუშავებული რეგულაციების გამო ისინი შემოსავლის გარეშე დარჩნენ და ამიტომ ითხოვენ, რომ ხალხის მასობრივი თავყრილობა ნებადართული გახდეს. მარინა ეზუგბაიას განცხადებით, ქვეყანაში 300-კაციანი შეკრებები არ იმართება და ამ კუთხით დაწესებული რეგულაციები არ ირღვევა.

„თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთ – მე არ მსმენია 300-კაციანი შეკრებების შესახებ, სადაც რეგულაციები ირღვევა. ჩემი რჩევა ასეთია, რომ რეგულაციები დავიცვათ ყველამ. მე არ ვარ ადამიანი, რომელიც შეიძლება შუამავალი იყოს თქვენსა და ამ დაწესებულებებს შორის, რეგულაციების შესრულება კი ყველასთვის სავალდებულოა“, – განაცხადა მარინა ეზუგბაიამ.

მაღალ გუმბათში მაღალია სულისკვეთება

ივერი ჭელიძე 75 წლისაა

შექსპირი ზეადამიანებზე წერდა და ამით ჩვეულებრივ მოკვდავთ გზას უხსნიდა უკვდავებისკენ. მაღალ, ბეჭებგაშლილ, ტვინგახსნილ სვან ბრგე ვაჟკაცში ჭარბადაა ყოვეგვარი ადამიანური.

ივერი ჭელიძე მეგობრობის გვირგვინია. სვანეთის მყინვარებზე მორგებული ქუდია, რომლის გულიც, როგორც სვანური ქუდი, შავი სირმით ოთხად არის გაყოფილი. ერთი მეოთხედი თვითონაა — მრავალჭირ-მრავალსიხარულგამოვლილი, მეორე მეოთხედი თავისი — მეუღლეა და მისი ნათელი ხსოვნაა, მესამე მეოთხედი — თავისი უსაყვარლესი შვილიშილი და მოსახელე ივიკო ჭელიძეა, რომელმაც 2011 წელს თავის გარდაცვლილ ბებოს გვერდით დაიდო ბინა. მეოთხე მეოთხედი კი — მის ლომგულ მემკვიდრეს გოჩას და საქართველოს დედოფლად გაზრდილ მაიკოს და მათ შვილებს ეკუთვნით.

ენერგია, ერთგულება და გამბედაობა დაუტოვა თავისი ადამიანური შესაძლებლობებიდან მთელი ასი პროცენტით საქართველოს და საქართველოს კულტურისა და სულიერების გვირგვინს, თავის სვანეთს, რომელსაც სიყმაწვილიდან ემსახურება ბატონი ივერი, მთელი თავისი სიცოცხლით, ენერგიითა და სიყვარულით.

ივერი ჭელიძე სტუდენტობიდანვე გამორჩეული იყო, როგორც სწავლით, ისე საზოგადოებრივი აქტიურობით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უმამაცეს სპორტის სახეობაში, რამაც ახალგაზრდობიდანვე პოპულარობა და ნდობა მოუტანა საზოგადოებაში.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ის მესტიის რაიონის ადილობრივი მრეწველობის დირექტორია, რაც მალევე შეამჩნიეს როგორც რაიონულმა, ისე რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და იგი შემდგომი პერსპექტივის მესტიის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ გადაჰყავთ.

მესტიის ტურისტულ ცენტრად გადაქცევის სტრატეგიამ ხელისუფლება აიძულა, უპირველესად, დღის წესრიგში დაეყენებინათ გზების გაყვანისა და კეთილმოწყობის, ძალზედ რთული, მაგრამ მეტად საჭირო საკითხი. ერთხმად გადაწყდა, რომ ამ საპასუხისმგებლო საქმეს ივერი ჭელიძე გაართმევდა თავს და გადაყვანილ იქნა მესტიის რაიონის საგაზაო სამმართველოს უფროსად, სადაც მისი ნაყოფიერი საქმიანობა

დღესაც ატყვია სვანეთის მთასა და ბარს.

მესტიის რაიონიდან სტიქიით დაზარალებულთავის ოჯახს და ნათესავ-მეგობრებს თვითონაც გადმოჰყვა ივერი ჭელიძე და საქმიანობის შეუწყვეტლად, სამსახური გააგრძელა გარდაბნის რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. აქტიურ და მებრძოლ ადამიანს ყველგან ამჩნევდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ბატონი ივერი გარდაბნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად იქნა დასახელებული და არჩეული.

საქართველოს ძნელბედობის ჟამს ქვეყნის პრეზიდენტმა ივერი ჭელიძე ყველაზე ცხელ წერტილში მიავლინა თავის წარმომადგენლად და მას კოდორის ხეობა ჩაბარეს, სადაც ენით აუწერელი საფრთხისა და განცდის პირობებში უხდებოდა ყოველი დღის დაღამება და ღამის გათენება. ბატონი ივერის ძალისხმევამ და გამძლეობამ ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობებს გადააჭარბა, როდესაც ლტოლვილები აფხაზეთიდან ჭუბერის უღელტეხილით ცდილობდნენ საფრთხიდან თავის დახსნას და იმ გოლგოთის გზაზე ბევრ დედასთან ერთად, ივერი დედის გულზე შეყინულ ბავშვებს თავისი ხელით გულიდან აცლიდა, სიცოცხლე შენარჩუნებულთ სასიცოცხლო საშუალებებს უქმნიდა, ხოლო დიდი ხნის შეყინებულებს თავის ადგილს უჩენდა. ამ უსაშინლეს სანახაობაში და სიკვდილ-სიცოცხლის ყოვლად საზარელ ბრძოლის ველზე, დაიმსახურა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ღირებული ჯილდო — გორგასლის ორდენი.

ივერი ჭელიძე სამი მოწვევის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატია. არის საზოგადოებრივი სამეგობროს „სამართლიანობის საბჭოს“ მუდმივი წევრი (მოორავ). მეუღლის ხსოვნის ყველაზე ლამაზად მატარებელი, თავისი საყვარელი ივიკოს განუყრელი მეგობარი, ათი წელი სიცოცხლეში და სამუდამოდ უკვდავებაში.

ყველაზე მძიმე ჯვრისა და ხატის ხელით დამდები და მატარებელი. ყველაზე მართალი ხმით მკვდრისა და ცოცხლის ღმერთის შემმავედრებელი, ფიზიკურად უძლიერესი ვაჟკაცი, ზნეობრივად უსპეტაკესი, საქართველოს უერთგულესი და სვანეთის გულდამწვარი ჭირისუფალი — ძლიერი ვით გაზაფხულზე ტალღებშემღვრეული ენგური და სუფთა და კრიალა ვით უშბის მარადდაუდნობელ მყინვარებზე დადებული პირველი თოვლის ფანტელი.

კიდევ მრავალ წელს ჩემო ძმაო, ივერი, შენი

გრიშა ონიანი

ქართული ჟურნალისტიკა - რომანტიზმიდან პრაგმატიზმამდე

ძართულმა მედიამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გამოიარა. 90-იან წლებში ერთბაშად მოვარდნილი თავისუფლებისგან განცდილი რომანტიკული პერიოდი ძალიან მალე შეცვალა პრაგმატულმა. ეს გამოწვეული იყო ორი გარემოებით — თავისუფალმა მედიამ ძალიან მალე აღმოაჩინა, რომ მწირი სარეკლამო ბაზრის და გაღარიბებული აუდიტორიის პირობებში, საკმაოდ მოწყვლადი იყო და „ჟანგბადის ბალიშის“ გარეშე დიდხანს ვერ იარსებებდა. საერთაშორისო დონორებისგან მიღებული დახმარება კი აშკარად მცირე იყო და თანაც არასტაბილური. „ჟანგბადის ბალიშად“ კი მედიას პოლიტიკური პარტიები და პოლიტიზებული ბიზნესი მოევლინა. სახელისუფლებო პარტიებს მედია პოლიტიკურ იარაღად და კომფორტული საინფორმაციო ველის შესაქმნელად სჭირდებოდათ, ხოლო ბიზნესმენებისთვის კი მედიასაშუალებების ფლობა ერთგვარი დამცავი ფარი გახდა კანონთან კონფლიქტის დროს, ასევე ხელისუფლებასთან სავაჭროდ პრინციპით — „შემიქმნი კომფორტულ პირობებს?! მოგემსახურები ჩემი მედია საშუალებებით!“

ბოლო 20 წელი, წამყვანი ქართული მედია საშუალებები ერთიმეორის მიყოლებით „ებარებოდნენ პატრონს“, რომელსაც ბევრი სარგებლის შეთავაზება შეეძლო ლოიალობის სანაცვლოდ. პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც მაშინ ჯერ კიდევ მეტნაკლებად თავისუფალი მედიის უპრეცედენტო მხარდაჭერის ფონზე ხელისუფლებაში მოსულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეს მედია საშუალებები, რომ იტყვიან, სუნთქვის დამხშობ აპარატზე დასვა. ამ აპარატის მართვის სადავეები სახელისუფლებო სტრუქტურებში იმყოფებოდა. ბევრს შესაძლოა, უკვე გადაავიწყდა კიდეც „ვარდების ხელისუფლების“ მმართველობისას ეროვნული ტელემაუწყებლების ტყუპისცალებივით მსგავსი საინფორმაციო გამოშვებები, სიუჟეტების აბსოლუტურად იდენტური რიგითობა თუ სხვა „მარგალიტები“ და, რა თქმა უნდა, ალტერნატიული აზრისა და ხელისუფლებისათვის უხერხული თემების პრაქტიკულად გაქრობა ტელესივრცედან.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ტელევიზიებმა, ისე როგორც სამოქალაქო სექტორმა, როგორც იქნა თავისუფლად ამოისუნთქეს. კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდათ „იმედი,“ „იბერია,“ „რუსთავი-2.“ მართალია, ტელემედიის ბაზარზე ადგილი ჰქონდა პროცესებს, რომლებიც კითხვებს იწვევდა, მაგრამ თუ ცვლილებათა თეორიას გავყვებით, მთავარი შედეგი იყო ის ცვლილება, რომ ადრინდელ პერიოდთან შედარებით, ტელევიზიები დიდწილად გათავისუფლდნენ პოლიტიკური წნეხისგან და მედიაგარემოც გაცილებით კრიტიკული და პლურალისტული გახდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც, ოპოზიციურად მიჩნეულ ტელეარხებზე რეკლამების სიმრავლე. ადრე ასეთ ტელეარხებზე ბიზნესები რეკლამის განთავსებას ვერ ბედავდნენ მაშინდელი ხელისუფლებისგან მოსალოდნელი რეპრესიების შიშით.

სამწუხაროდ, ქვეყანაში განვითარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პროცესებმა ტელემედია ამ პროცესების მძევლად აქცია. ისევ და ისევ პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე, დაიწყო კერძო ტელევიზიების გადანაწილება ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებულ მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის. სადღეისოდ, მედიის პოლარიზაციის ეს პროცესი პრაქტიკულად დასრულებულია და საზოგადოებამ ზედმიწევნით კარგად იცის, რომელი ტელევიზია ვის მხარესაა და ვის ინტერესებს ემსახურება. თუმცა, მედიამაც ისწავლა სცილასა და ქარიბდას შორის ლავირება, როგორც გადარჩენის ერთ-ერთი გზა.

სოციოლოგიური გამოკითხვებით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ინფორმაციას ტელევიზიიდან იღებს. შესაბამისად, სწორედ ტელეკომპანიებზე კონტროლი გახდა საუკეთესო საშუალება, სასურველი გავლენა მოახდინო სოციუმის განწყობებზე, შექმნა მისაღები საინფორმაციო მეინსტრიმი და ამუშაო ეს რესურსი პოლიტიკური თუ სხვა ტიპის ინტერესების რეალიზებისთვის.

მაგალითად, ოპოზიციის მომსახურე სამმა ცნობილმა ტელეკომპანიამ ამისათვის მარტივი და ნაცადი გზა აირჩია — საზოგადოების განწყობების ფორმირება დეზინფორმაციის (Fake News) მეშვეობით. ამის მკაფიო მაგალითია ის, თუ როგორ აშუქებს ეს „ტელე-სამეული“ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის დაღუპვის ფაქტს. აქედან გამომდინარე ჩნდება ლეგიტიმური კითხვა ამ ტელეკომპანიების მფლობელებისა და ჟურნალისტების მიმართ: რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან ისინი თავიანთ როლს საზოგადოებაში? ან უფიქრიათ კი ამ პასუხისმგებლობაზე? თუ ამ ტელეკომპანიების სარედაქციო პოლიტიკით ვიმსჯელებთ, ისინი ამ პასუხისმგებლობაზე არ ფიქრობენ. ხოლო თავიანთი როლი, დიდი ალბათობით, კონკრეტული პოლიტიკური ძალის საინფორმაციო ჯარისკაცებად წარმოუდგენიათ. პრაგმატიზმი აქაც წამყვანია — თუ კარგად გიხდიან იმისათვის, რომ მორალური ტვირთისგან გათავისუფლდე, შეიძლება, ეს გააკეთო. კანონმდებლობა ხომ გიცავს და თავისუფლად შეგიძლია, საზოგადოება შეურაცხყო, ადამიანს ან ინსტიტუციას ცილი დასწამო, მისი სტიგმატიზაცია მოახდინო ყველაზე უხეში ფორმით და ეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩაგეთვალოს.

მცირე გამონაკლისის გარდა, დღევანდელი ქართული მედია გარემო გაცილებით უფრო აგრესიულია. პოლიტიკურად ანგაჟირებული ტელეკომპანიები ადვილად სწირავენ ჟურნალისტიკის პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს მოკლევადიან მაღალ რეიტინგებს. როგორც უკვე აღვნიშნე, ტელემედიამ ნებაყოფლობით და ერთგვარი სიამოვნებითაც კი დაუქვემდებარა თავი პოლიტიკურ კონიუნქტურას და გავლენის ჯგუფთა ინტერესებს. თუმცა, ცნობილია ისიც, რომ პროპაგანდა ძალას კარგავს, როგორც კი ზედმეტად აშკარა და გამაღიზიანებელი ხდება. ამის არაერთი მაგალითი არსებობს.

როდესაც თვალყურს ადევნებ ქართული ტელემედიას, გიჩნდება განცდა, რომ მჭახე და ამავე დროს მდარე პროპაგანდისტული სიუჟეტებით და ანონსებით ისინი წინასწარ ცდილობენ ჩვენს დამორჩილებას და დაზაფვრას. ამის შემხედვარე, ალბათ, ბევრ მაყურებელს გაუჩნდება კითხვა „რისთვის მჭირდება მე ეს ყოველივე?“

ზაალ ანჯაფარიძე

უფრო მტკიცედ უნდა ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის „სამოსელი“!

გლობალური ანტიგლობალიზმი და ღვთივკურთხეული საქართველო

კორონავირუსულმა პანდემიამ და მისმა თანმხლებმა პროცესებმა მთლიანად გააშიშვლა თავისთავად უაღრესად წინააღმდეგობრივი, მაგრამ ბოლო პერიოდამდე მაინც მსოფლიო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის არსებითად განმსაზღვრელი გლობალიზაციის ფენომენის უამრავი მანკიერება და ის კანონზომიერი მსხვრევის გზას გაუყენა. მასთან ერთად, მომაკვდინებელი დარტყმა იგემა ზღვარგადასულმა ლიბერალიზმმა, რომლის თითქმის ყველა „წარმატება“ მყისვე გაცამტვერდა.

კორონავირუსმა სააშკარაოზე გამოიტანა და ერთბაშად გააშიშვლა მსოფლიოს განუკურნებელი მახასიათებლები. მან მძიმედ დაარტყა მსოფლიო ეკონომიკას, უწინარესად, გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკას და, რაც მთავარია, საყოველთაო გლობალიზაცია ქრება თვით ადამიანის გონებიდან, რაშიც, უწინარესად, იგულისხმება გლობალისტების თავგამოდებული, მაგრამ უსუსური მტკიცება იმისა, რომ სახელმწიფო, სამშობლო, პატრიოტიზმი, ტრადიციები, რელიგია და სხვა ეროვნული ფასეულობები თანდათანობით ტოვებენ ისტორიულ ასპარეზს, ან უკანა პლანზე დგებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს ის, რომ საქართველოსთვის უცხო, უნიადაგო, გლობალიზაციის ბურუსში გახვეული კოსმოპოლიტისტური თეორიები, უცხოურ იდეოლოგიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა, გარკვეულწილად, იმ „დიდი პოლიტიკის“ შემადგენელი ნაწილია, რაც სამამულო ინდუსტრიისა და არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს (უკეთეს შემთხვევაში) ნავთობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნისა და ტურისტთა საჯირითო ტერიტორიის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავითავისოთ, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური და საერთოდ ქართული იდეოლოგიის „სამოსელს“ **(რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემა... თბ., 2004, გვ.36)**.

მსოფლიო ეკონომიკურმა პრაქტიკამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა, მთლიანად ქვეყანა არ არსებობს ეროვნული თვითგანსაზღვრულობის გარეშე, რომ ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი კვლავწარმოება ყოველთვის ხორციელდება როგორც ეროვნული კვლავწარმოება. სწორედ ეროვნულ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკური მოდელი (ამის საუკეთესო მაგალითია პოსტსოციალისტური ჩინეთი) უზრუნველყოფს ქვეყნის საუკეთესო მერმისს. ამიტომ ეროვნული სახელმწიფოს როლი კიდევაც იზრდება, რათა მოქნილად მოახდინოს თავისი საზოგადოების, ხალხის, ეროვნული ტრადიციების, მთლიანად ქვეყნის, ორმხრივად სასარგებლო ინტეგრირება მსოფლიოსთან. თუმცა, იმავდროულად გაძლიერდება ეკონომიკური ნაციონალიზმი, ანუ ეკონომიკების შემოსაზღვრა გარე სამყაროსგან. ამისათვის არც სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის შეცვლაა აუცილებელი და არც ეროვნულობის ნიველირება, რასაც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური იდეოლოგია ადუღაბებს. ამასთან დაკავშირებით, ფრიად საინტერესოა კოლუმბიის უნივერსიტეტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის უახლესი მოსაზრება: **„ადრე ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ გლობალურ მსოფლიოში საზღვრები არაფერს ნიშნავს, მაგრამ ახლა საზღვრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, კორონავირუსთან დაკავშირებულმა კრიზისმა ყველას შეგვახსენა,** რომ საბაზისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად სახელმწიფო რჩება“.

დიახ, „კორონავირუსმა იმუშავა, როგორც ცეცხლგამჩენმა ნაერთმა, ის დაუნდობელია არამხოლოდ ჩვენი ჯანმრთელობის მიმართ, არამედ აშიშვლებს ჩვენს სისუსტეებს ეროვნულ, ევროპულ, სერთაშორისო დონეზე“, აცხადებს გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ზიგმან გაბრიელი, – **„გერმანიის კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იყო გლობალიზაციით, ჩვენ შემოგვაქვს ნედლეული უამრავი ქვეყნიდან, გვაქვს მაღალტექნოლოგიური წარმოება, მაგრამ დამოკიდებული ვართ უცხოელ მომწოდებლებზე. ეს ყველაფერი რომ გაუქმდება, გერმანია და ევროპა გაღარიბდებიან. კორონავირუსმა დაუნდობლად გააშიშვლა დასავლეთის სუსტი მხარეები, დასავლეთმა ფიასკო განიცადა კორონავირუსთან ბრძოლაში“,** – ასკვნის ის.

ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა თითქმის არც არასოდეს ყოფილა სახარბიელო, უფრო მეტიც, ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლური პარტნიორების სახით, ყოველ შემთხვევაში, ბოლო პერიოდამდე მაინც, ძირითადად გვყავდა ჩამოყალიბებული ტიპური იდეოლოგიურ-პოლიტიკური „მოთამაშეები“, რომელთა მსგავსიც ისტორიის მანძილზე ძალიან ცოტა გვსმენია. აბა, სხვა რაღა უნდა ვთქვათ იმ დასავლელ პარლამენტარებსა, სენატორებსა თუ კონგრესმენებზე, რომლებიც ხაზინის ფულის მიმთვისებელსა თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში აქტიურ მონაწილეს, რომელთაც ქართულმა სამართალმა პატიმრობა მიუსაჯა, პოლიტპატიმრებად აცხადებენ და ქვეყნის მთავრობაზე ზემოქმედებით, ათავისუფლებენ ყოველგვარი დამატებითი სამართლებრივი განსჯა-განხილვის გარეშე. ეს და სხვა მსგავსი ქმედებები იმის დემონსტრირებაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათ დიდად არ ეპიტნავებათ. რაც შეეხება **ევროკავშირსა** (რომლის ბევრი სისუსტე გამოავლინა კორონავირუსულმა პანდემიამ) და **ნატოს,** განსაკუთრებით, ამ უკანასკნელს, თითქმის ყავლგასული ორგანიზაციაა, თუმცა, ძალიანაც რომ გვინდოდეს მასში შესვლა, ეს მხოლოდ ოცნებათა რიგს განეკუთვნება. ასეც რომ არ იყოს, ნატოში შესვლა, რუსეთის ფაქტორის გამი, დიდი ალბათობით, სამუდამოდ უარის თქმა იქნებოდა დაკარგული ძირძველი ქართული ტერიტორიების დაბრუნებაზე. ამიტომ, ამჯერად აუცილებელია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და ყოველგვარი ძალისხმევით, ორივე მხარისთვის მისაღები შედეგების მიღწევა. ამავდროულად უნდა ვესწრაფოდეთ აშშ-ის მთავრობასა და პრეზიდენტ ტრამპთან დაახლოებას, რომელიც გამოირჩევა ანტიგლობალიზმით, ლიბერტარიანიზმის წინააღმდეგ ბრძოლითა და ეროვნული ტრადიციების პატივისცემით, ასევე ურთიერთობათა გაღრმავებას საქართველოსადმი კეთილგანწყობილ ყველა ქვეყანასთან. სხვანაირად, სამწუხაროდ, არაფერი გამოვა... საქმის კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მსოფლიო გლობალისტების უმეტესობა კაცობრიობის სულიერ- მორალური დეგრადაციითაა დაინტერესებული, რადგან ასეთი მასების მართვა მსოფლიო მთავრობისთვის (რომლის შექმნაც მათი ოცნებაა) გაცილებით მარტივი იქნება. როგორც ჩანს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ალბათ, ზნეობა და სამართლიანობა სულ მალე წარსულის გადმონაშთად გამოცხადდება. ამასთან დაკავშირებით, „საგულისხმოა“ დიდი ბრიტანეთის 74-ე პრემიერ-მინისტრის გორდონ ბრაუნის იდეა კორონავირუსის დაძლევის შემდეგ მსოფლიოს დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დედამიწაზე საყოველთაო წესრიგს. როგორც იტყვიან, ამით ყველაფერია ნათქვამი...

გარდა აღნიშნულისა, კაცობრიობას ემუქრება ციფრული ეკონომიკის საყოველთაოდ დამკვიდრების გარდაუვალობა, რაც მთლიანად უცვლის სახეს სახელმწიფოს მართვას, ჯანდაცვის, განათლების, მომსახურების სფეროს და ა.შ. ამის თაობაზე მრავალი მეცნიერი თუ ექსპერტი განგაშს ტეხს, რამეთუ საქმე ეხება „სახელმწიფოს მთლიანი სისტემის რადიკალურ რეფორმირებას“, რომლის მიზანია ყველასა და ყველაფერზე ტოტალური კონტროლის დამყარება, რაც, ფაქტობრივად, ხელოვნურ ადამიანთა ცივილიზაციის შექმნის და კაცობრიობის დამონების მომასწავებელია. ეს კი ადამიანთან ერთად ღმერთის სრული უარყოფაა, რაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ სავსებით მიესადაგება ამ რეალობას ცნობილი პოეტის ლაშა ნადარეიშვილის ერთ-ერთი ბოლო ლექსის სტრიქონები:

„გადმოიღვარა მრისხანების თასი ზეციდან,
ეს დედამიწა ამდენ ცოდვას ვეღარ დაიტევს“...

და, ასევე პუბლიცისტ ჯაბა ხუბუას მრავლისმეტყველი ამოძახილი: „კორონავირუსით ქრისტეს ვერ მოკლავთ!“.

ასეთ ვითარებაში ყველა ჭეშმარიტი ქრიტიან-მართლმადიდებლის ქცევას უნდა განსაზღვრავდეს სახარებისეული მოძღვრება: „იყვენით სრული, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“. ეს იმას ნიშნავს, რომ უფალმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად, „ხატება-უფლისგან ბოძებული უნარია, ვიცხოვროთ სწორად, ხოლო „მსგავსება“ – შესასრულებლად აუცილებელი ღვთიური დავალებაა.

ამრიგად, საკაცობრიო აზრის განვითარების გზაზე ადამიანის წარმოდგენის განსაკუთრებულ მოდელს გვთავაზობს ქრისტიანობა. მან არა მარტო თვითგანვითარებისკენ მოუწოდა ადამიანს, არამედ შესთავაზა ცოცხალი მისაბაძი ხატი იესოს სახით – „მის მიერ შემოტანილი დოგმა – „გაღვთიურება ადამიანის და გაადამიანება ღვთაებისა, – ადამიანს გამოყოფილ ადგილს აძლევს კოსმოსის მთლიანობაში“ (ა. ბრეგაძე, მარადიული სიბრძნე, თბ., 2016, გვ.18).

მიუხედავად ამისა, და ფრიად სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა ღვთის ნებას კი არ მისდევს, არამედ იმას, რაც მას უნდა, მას ღვთის ნება – „„მე მინდაში“ ეშლება, რითაც უფალს ეწინააღმდეგება და ცხოველს ემსგავსება. დიახ, დღეს კაცობრი ობის დიდი ნაწილი სიბილწის მორევშია ჩაფლული და თუ ის ცოდვებს არ მოინანიებს, კორონაპანდემიაზე უარესიც შეიძლება მოხდეს, ხოლო ქრისტეს მეორედ მოსვლას ვერავინ დაუდგება წინ, ანუ განკითხვის დღე გარდაუვალია, რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს – ღვთის რჩეული და ყოვლადწმინდა დედაღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ცოდვებიც ნაკლები აქვს ღვთის წინაშე. მარტო ის რად ღირს, რომ კორონავირუსმოდებული მსოფლიოს თითქმის ყველა სალოცავი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში ჩაკეტილი იყო მომლოცველთათვის, ხოლო საქართველომ არ ჩაკეტა ეკლესიის კარი – ჩვეულებრივ აღევლინა ღმრთის სადიდებელი წირვა – ლოცვანი, ცოდვილი მიწიდან მრევლის მაღალი კულტურით დამშვენებული, რაც ცათამდე ქართულად ისმინებოდა. ესეც ხომ იმის მიმანიშნებელია, რომ სატანები და სხვა ჯურის ავანტიურისტ-ლიბერასტები, ჩვენს მართლმადიდებელ ქრისტიან ერს ვერ დააჩოქებენ, რადგანაც უმრავლესობა არ ცხოვრობს მხოლოდ მიწიერი ფუფუნებით – სული აქვს სუფთა, მდიდარი, ღვთივკურთხეული, ანუ „ღმერთი ჩვენთან არს“ – და საქართველო უეჭველად გამთლიანდება და გაბრწყინდება.

ამ რწმენას განგვიმტკიცებს ის, რომ „სადაც ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, იქ სიხარული და სიყვარულია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვერავითარი უარყოფითი ძალა ვერ სძლევს საქართველოს სიყვარულსა და სიხარულს. საქართველო მტკიცედ იდგება მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, ეს ჩვენი ბედია, ეს ჩვენი ჯილდოა, ღვთის ჯილდო, რომ საქართველო იყოს მართლმადიდებელი“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2020 წლის 17 მაისის ქადაგებიდან ოჯახის სიწმინდის დღეს).

რაც მთავარია, ღვთის შემწეობით, საქართველომ დღეს უმცირესი დანაკარგებით, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა ღირსეულად დაძლია კორონავირუსული პანდემია და მთავრობამ მოკლე დროში წარმოადგინა ანტიკრიზისული სტრატეგიისა და პოსტკრიზისული განვითარების გეგმა-განაცხადი, რაც საკმაოდ დასაბუთებულია. ის გზადაგზა შეივსება და ქვეყნის სრულფასოვანი სამოქმედო პროგრამა გახდება.

აქვე გვინდა ხაზგასმით ვთქვათ, რომ კვლავაც გაუაქტიურებელია, ქართველ მეცნიერთა ძლიერი ჯგუფის (ხელმძღვ. პროფ. პ. გიორგაძე) მიერ შემუშავებული „ქართული სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის კონცეფცია – პროგრამა“, რამაც სამეცნიერო იერარქიის ყველა დონეზე წარმატებით გაიარა აპრობაცია და მისი საბოლოო ვარიანტი, 51 აკადემიკოსისა და პროფესორის ხელმოწერით გადაეგზავნა საქართველოს მთავრობას, ასევე ადეკვატური სტატიები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასა“ და თსუ-ის საერთაშორისო რეიტინგის მქონე ჟურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, რასაც მრავალი მხარდამჭერის გამოხმაურება მოჰყვა. მთავრობის საბოლოო პოზიცია კი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ჩვენი განწყობა ოპტიმისტურია, რამდენადაც სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით საფუძველი ჩაეყრება ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლის ზრდას 12 მლრდ აშშ დოლარით, დაახლოებით 10 წელიწადში ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 51 მლრდ დოლარს მიაღწევს. პროექტებში დასაქმდება 400 ათასზე მეტი ადამიანი საშუალო ხელფასით – 4500 ლარი, საბოლოოდ მოიხსნება უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა, მკვეთრად შემცირდება მიგრაციული პროცესები, რადიკალურად გაუმჯობესდება დემოგრაფიული სიტუაცია, ანუ საქართველო მართლაც გაბრწყინდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პოსტკრიზისულ გრძელვადიან სტრატეგიაში „სასმელი წყლის კონცეფცია-პროგრამა“ ერთ-ერთ წამყვან ადგილს უდავოდ დაიკავებს.

რევაზ გოგოხია,
ეკონომიკურ-მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ირაკლი გოგავა:

ოდესის გუბერნატორობის დროს მიჯამ 50 მილიონზე მეტის შოვნა ვერ მოასწრო!

ნომრის სტუმარია ცნობილი პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ირაკლი გოგავა.



„რეფორმების სახელს ამოფარებული სააკაშვილი ისეთ სფეროებს მიადგა, სადაც სწრაფად შეიძლება დიდი ფულის მილება“

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა სპეცოპერაციის შედეგად ვინმე ბოკოვი აიყვანა. მედიაში კი გაჩნდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირი ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას მოკვლას გეგმავდა. გაბუნიას მიმართ საფრთხე ნიკა გვარამიამაც დაადასტურა და ისიც თქვა, რომ მან ეს წინასწარ იცოდა. ამავე დროს გამოქვეყნდა სააკაშვილსა და ადეიშვილს შორის ფარული ჩანაწერი ამ თემაზე. როგორ ფიქრობთ, რეალურად რასთან გვაქვს საქმე — — ეს იყო, როგორც გვარამია ამბობს, რამზან კადიროვის მიერ დაქირავებული ქილერი, თუ ისევ სააკაშვილ-გვარამია-ადეიშვილის გეგმის ნაწილი?

ირაკლი გოგავა: ვფიქრობ, რომ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა უკრაინელ კოლეგებთან თანამშრომლობით სერიოზულ ხათაბალას გადაარჩინა თავად გაბუნიაც და მთელი ქვეყანა. გამოძიება მიმდინარეობს და ის იტყვის თავის სიტყვას, ჩვენ კი ვერსიებზე შეგვიძლია საუბარი. ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნება საქართველოს მოსახლეობის 90%-თვის მიუღებელია და ეს თავადაც იციან. ამიტომ ხელისუფლების მისატაცებლად მათ ერთადერთი გზა — სახელმწიფო გადატრიალება რჩებათ. სახელმწიფო გადატრიალებისთვის კი საჭიროა ნოყიერი ნიადაგის მომზადება, ანუ ხალხში საჭირო ემოციური მუხტის შეტანა, პოლიტიკური ტემპერატურის დაძაბვა, რასაც საკუთარი საინფორმაციო საშუალებებით გააკეთებენ და ამისთვის კი ემოციური საბაბი სჭირდებათ.

— ანუ სახელმწიფო გადატრიალებისთვის დასჭირდათ გაბუნიას მკვლელობა?

— სახელმწიფო გადატრიალების ტექნოლოგიის ერთ-ერთი ნაწილია საკრალური მსხვერპლი. მსხვერპლი ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, ბავშვი, ფეხმძიმე ქალი უნდა იყოს, რომ მეტი უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს საზოგადოებაში. ჩვენ გვახსოვს საქართველოში ჟურნალისტ გიორგი სანაიას, უკრაინაში — გიორგი ღონღაძის, სერბეთში — პრემიერი ჯინჯიჩის მკვლელობები, რომელიც სწორედ სახელმწიფო გადატრიალებებს უსწრებდა წინ. ამის თაობაზე „უკრაინული ახალი ამბების“ სააგენტოს დირექტორმა რამდენიმე დღის წინ პრესკონფერენცია გამართა და მნიშვნელოვანი დეტალები გააჟღერა.

— თქვენ გულისხმობთ საინფორმაციო სააგენტო „Новости Украины“-ს დირექტორის ოლეგ დეინეკოს პრესკონფერენციას, სადაც მან სააკაშვილი მკვლელობის მცდელობის სამზადისის შესახებ ინფორმაციის დამალვასა და უცხოურ აგენტურასთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა. მეტიც, როგორც ამბობს, თავად გიორგი გაბუნია, ის საქართველოს მომავალი პოლიტიკური მოღვაწის გაპიარებაში ძალაუნებურად ჩართეს. ეს ძალები მიზნად ისახავენ საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაციას, ასევე პროვოკაციებსა და არეულობას...

— დიახ. ოლეგ დეინეკო აცხადებს, რომ წლის დასაწყისში მასთან, როგორც საინფორმაციო სააგენტოსთან, მივიდნენ სააკაშვილის წარმომადგენლები და შესთავაზეს გიორგი გაბუნიას გაპიარება უკრაინაში, პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებში და მოლდოვაში. შარშან კი გაბუნიამ უცენზურო სიტყვების კორიანტელი დაყენა პუტინის მიმართ პირდაპირ ეთერში. უკრაინელები ამ ყველა ფაქტს ერთ ჯაჭვად აწყობენ და აცხადებენ, რომ გაბუნიას ამზადებდნენ რიტუალურ მსხვერპლად, რასაც უნდა მოჰყოლოდა საპროტესტო გამოსვლები და საქართველოში ხელისუფლების დამხობა.

ამასთან გამოქვეყნდა სააკაშვილის და ადეიშვილის საუბრის ჩანაწერი, სადაც ისინი განიხილავენ გაბუნიას თემას, სულაც არ ღელავენ მის უსაფრთხოებაზე და აქეთ ლანძღავენ, რადგან რაღაც გეგმები ისე არ წავიდა. ნაცები ლობისტების მეშვეობით ცდილობენ, ივანიშვილს მიაკერონ „პუტინის მეგობრის“ იარლიყი, რათა შემდეგ გადატრიალებისთვის საჭირო საკრალური მსხვერპლის ლიკვიდაცია დაბრალდეს არა მხოლოდ პუტინს, არამედ „პუტინის მეგობარ“ ივანიშვილსაც. ამ ვერსიას საქართველოში ცოტა ვინმე თუ დაიჯერებს, მაგრამ მათ ეს ვერსია შექმნეს დასავლეთისთვის და არა ქართველი საზოგადოებისთვის. ქართველ ხალხს ისინი ვერ გააცურებენ, რადგან აქ უკვე ყველამ იცის, ვინ არიან. დასავლეთის გაცურება კი თეორიულად შეუძლიათ.

— გამოდის, რომ უკრაინას სააკაშვილი იყენებს ბაზად საქართველოს წინააღმდეგ გეგმების შესამუშავებლად. ეს ხომ ახდენს ნეგატიურ გავლენას საქართველო-უკრაინის ურთიერთობაზე?

— სააკაშვილისთვის უკრაინა პლაცდარმია, სადაც ელოდება ხელსაყრელ მომენტს, რომ ისკუპოს და გადატრიალების გზით კვლავ მიიტაცოს ძალაუფლება საქართველოში. თანაც, ლოგისტიკურად უფრო ადვილია მისი აქაური თანამზრახველების უკრაინაში მასთან მიმოსვლა. უკრაინელმა ხალხმა სააკაშვილი 0,4%-ით შეაფასა. ეს ხმების ის რაოდენობაა, რომლიც მან ბოლო არჩევნებში უკრაინაში მიიღო. ცხადია, ის ჩრდილს აყენებს საქართველო-უკრაინის ურთიერთობებს. საქართველოს საკუთარი ელჩის კონსულტაციაზე გამოძახებაც კი მოუწია. ეს დიპლომატიურ ურთიერთობებში პროტესტის ერთ-ერთი ფორმაა.

უკრაინელები კი აცხადებენ, რომ ის არ არის საჯარო მოსამსახურე და არის უკრაინის მოქალაქე, ეროვნებით ქართველი. რაც შეეხება უკრაინის მოქალაქეობას, ვერ ვიხსენებ ვერც ერთი ქვეყნის პრეზიდენტს, რომელმაც სხვა ქვეყანაში გუბერნატორის სკამის გამო საკუთარი სამშობლოს მოქალაქეობაზე ნებით უარი განაცხადა — ეს არ ჯდება არც ერთი მორალური პრინციპის თუ ზნეობის ჩარჩოში. სააკაშვილის ქცევა უდავოდ აყენებს ჩრდილს საქართველო-უკრაინის ურთიერთობებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს და უკრაინას შორის ტრადიცულად კარგი მეგობრული ურთიერთობებია და ამას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. რაც უნდა ეცადოს სააკაშვილი, ამ რეალობას ვერ შეცვლის.

— სააკაშვილი რეფორმების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯომარედ დანიშნა ზელენსკიმ. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, რა რეფორმების შეთავაზებას აპირებს ის პრეზიდენტ ზელენსკისთვის?

— რა საკითხებსაც შეეხო, ჯერჯერობით, ყველა ისეთი სფეროა, სადაც დიდი ფული ტრიალებს. მისი ინიციატივების ანალიზი გვაჩვენებს, რომ რეფორმების სახელს ამოფარებული ისეთ სფეროებს მიადგა, სადაც სწრაფად შეიძლება დიდი ფულის მიღება დაინტერესებული ფინანსური თუ ლობისტური ჯგუფებისგან. მაგალითად, ლობირებს თურქული სასუქების დაუბრკოლებლად შეტანას უკრაინაში ადგილობრივი წარმოების შევიწროების ხარჯზე. სასუქების წარმოება უკრაინას თავისი აქვს. დაახლოებით 3000 საწარმო ამზადებს სასუქს, აქედან 12 გიგანტური, სადაც 113,000 ადამიანია დასაქმებული. მას სურს, რომ ადგილობრივი წარმოება შეავიწროოს და თურქული სასუქის იმპორტისგან კი ხელი მოითბოს. როგორც ეს საქართველოში გააკეთა — მოკლა ადგილობრივი წარმოება და იმპორტს თავად და მისი ხალხი მოაჯდა.

მსგავსი მიდგომის შედეგად ხალხი კარგავს სამუშაო ადგილებს, ბიუჯეტი კი შემოსავლებს. ეს კლასიკური პარაზიტული სქემაა, რომელიც მან უცხოელების და იმპორტიორების სასარგებლოდ საქართველოში დანერგა თავისუფალი ვაჭრობის და რეფორმების სახელით. ასევე გამოვიდა უკრაინაში სათამაშო ბიზნესის ლეგალიზაციის მოთხოვნით — ეს კიდევ ერთი გზაა უკრაინელი ხალხის გაუბედურების და კიდევ უფრო გაღარიბების. მან ეს სქემა საქართველოში აამუშავა და ამ ყველაფერს უკიდურესად ნეგატიური ეფექტი აქვს საზოგადოებაზე, ეკონომიკაზე, ხალხის ფსიქიკაზე.

საქართველოში ბანკების მიერ ხალხისთვის ჩამორთმეული 300,000 უძრავი ქონებიდან მესამედი აზარტული თამაშების გამო დაკარგული ქონებაა და ეს სააკაშვილის დაწყებული საქმეა.

სააკაშვილი უკრაინაში ლობირებს აზარტული თამაშების ორ რუსულ ჯგუფს: „1ХБЕТ“ და „PARI MATCH“-ს. საქართველოში სათამაშო ბიზნესის ბრუნვა 15 მილიარდი ლარია, უკრაინაში შესაბამისად 10-ჯერ მეტი იქნება. რთული წარმოსადგენი არ არის, რამდენს გადაუხდიან აზარტული თამაშების ლეგალიზებით დაინტერესებული ბიზნესჯგუფები.

— მან ზელენსკის შესთავაზა საპროცესო გარიგებების სქემაც, თუმცა ჯერჯერობით ზელენსკი მხოლოდ ისმენს სააკაშვილის შეთავაზებებს, ამ სტადიას ვერ გასცდა ექსპრეზიდენტი...

— ეს ის სქემაა, რითაც გაძარცვა ქართველი ხალხი. მისი მმართველობის დროს 300,000-ზე მეტი ადამიანი იყო რეპრესირებული და 800,000 სისხლის სამართლის საქმიდან 99,99% გამამტყუნებელი განაჩენით — საპროცესო გარიგებით, ანუ ფულის გადახდით დასრულდა. ეს ფული კი ბიუჯეტში არ მიდიოდა, რაღაც ფონდებსა და ოფშორულ ანგარიშებზე ხვდებოდა. ასეთი ხალხის ძარცვის მოდელი უნდა გაიტანოს უკრაინაშიც. ცხადია, ამაზეც გვარიანად ხელის მოთბობას აპირებს. ასევე უნდა საბაჟოს რეფორმირებას ჩაუდგეს სათავეში. ვხედავთ, რომ პირველი ინიციატივები მხოლოდ იმ სფეროებშია, სადაც დიდი ფული ტრიალებს და სწრაფი ფულის გაკეთების საშუალება ექნება, რადგან გრძნობს, რომ მას იქ დიდხანს არავინ გააჩერებს.

— გამოდის, საქართველოს მსგავსად, უკრაინაშიც ცდილობს ფულის შოვნას იმ სქემით, რასაც ავტომატურად მოჰყვება ადამიანის უფლებების დარღვევა, დაკავებების სერია და ამ გზით ფულის ამოღება...

— ცხადია. აქაც იმავეს აკეთებდა, როცა შეეძლო. საქართველოში სააკაშვილის მედიაიმპერიას შენახვა ხომ უნდა?! ამაში 150 მილიონ ლარს ხარჯავს ყოველწლიურად. პარტიის სტრუქტურებში ვინ გაუჩერდება, ხელფასი რომ არ უხადოს?! — ეს კიდევ 10 მილიონია წელიწადში. ლობისტებთან მუშაობას, უცხოელები ჟურნალისტების, ექსპერტების, პოლიტიკოსების მოსყიდვასაც ხომ ფული უნდა — ეგ კიდევ 20-30 მილიონი წელიწადში. საერთო ჯამში, მინიმუმ, 200 მილიონი ლარი უჯდება წელიწადში ეს ყველაფერი და შედეგი არ აქვს. ამიტომ არის გაგიჟებული.

ქართველი ხალხის ნაძარცვი ფული კი აქვს, მაგრამ 8 წლის განმავლობაში ბევრი დახარჯა, ბევრიც „მოუტეხეს“. ოდესის გუბერნატორობის დროს, უკრაინელებისგან რაც ვიცი, ბევრი ვერ იშოვა — არ მისცეს საშუალება — დაახლოებით 50 მილიონი ლარი იშოვა. იქ მაშინ საბაჟოზე მის გემოზე არ ამუშავეს და მთლად ვერ გაილაღა, თუმცა ოდესელ ბიზნესმენებს ორჯერ ააწაპნა ფული, თითო ჯერზე — 15 მილიონი ლარი. მესამე ცდაზე აღარ მისცეს, რადგან ნახეს, რომ ამ ფულით ჯიპებს ყიდულობდა, ჩარტერული რეისებით მეგობრებს ამგზავრებდა და ოდესის სასტუმრო „ბრისტოლში“ ყოველ „უიკენდზე“ ზღაპრულ ნადიმებს მართავდა საკუთარი გუნდისთვის.

არადა, ეს ფული უკრაინული არმიის დასახმარებლად და ოდესის განვითარებისთვის გროვდებოდა. ახლა სახელმწიფო გადატრიალებისთვის აგროვებს ფულს. რუსთაველზე 5000-კაციანი აქტივი რომ შეინახო, დღეში, მინიმუმ, 500,000 ლარია საჭირო — უფასოდ არავინ დგება, აქციები კი 2-3 თვე ხომ უნდა გაგრძელდეს! ამას სხვა უამრავი ხარჯი ემატება. მაგალითად: უფასოდ ერთკაციანი პარტიებიც არ მუშაობენ აქციებზე და მედიაში. ხუთკაციანი პარტია კიდევ უფრო მეტი ღირს. ჟურნალისტები - აქციები მათთვის ჯეკპოტია — აქციების გაშუქებისას რასაც უხდიან, იმას ერთ წელიწადში ვერ იღებენ მშვიდ ვითარებაში. ყველას არ ვგულისხმობ, ცხადია. აი, ამ ფულს აგროვებს ახლა გამალებული უკრაინაში.

— ვინ ლობირებდა მის ბოლო დანიშვნას უკრაინაში?

— უკრაინაში მარტივად არის გასაანალიზებელი, რომელ ფიგურას ვინ ლობირებს. უნდა ნახოთ, ვისი ტელეარხები უფრო ხშირად აჩენენ. იქ მთელი მედია ოლიგარქებს ეკუთვნის. სააკაშვილს ბოლო პერიოდში კოლომოისკის და ახმეტოვის არხები აჩენენ ხშირად. ვინც მათ ინტერესებს არ ემსახურება, წარმოუდგენლად რთულია ამ არხებზე გამოჩენა. დასკვნაც აქედან უნდა გამოვიტანოთ. სააკაშვილი ოლიგარქების მსახურად იქცა.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

მეფე დავით აღმაშენებელი

დიდებულ გმირთა მამულიშვილთა

სახელოვან ქართველ მოქანდაკეთა თანავარსკვლავედში თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების არაერთი გამოჩენილი ოსტატია, რომელთა გვარ-სახელების ჩამოთვლას ამჟამად არ მოვყვები, ერთს ვიტყვი მხოლოდ: ამ დიდებულ პლეადაში, ფაქტობრივად, არც კი მოიძებნება ხელოვნების ამ გამორჩეული დარგის მეორე, ასე ვთქვათ, ისეთი „დინასტიური“ ტანდემი, როგორებიც მამა-შვილი პოტე და მერაბ მერაბიშვილები არიან.

ბატონი კოტე დიდი ხანია ზეციური საქართველოს ბინადარია, მისი ამქვეყნიური დიდების თუნდაც ერთ დასტურად კი თბილისში შოთა რუსთაველის მედიდური ძეგლი კმარა, რომელიც მისივე სახელობის მოედანსა და პროსპექტის დასაწყისს ამშვენებს.

ბატონ კოტე მერაბიშვილის მემკვიდრისა და საქმის ღირსეული გამგრძელებლის, საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **მერაბ მერაბიშვილის** ხელოვნებას პირველად კი, თურმე, შორეულ 1961 წელს ვზიარებივარ, როცა ჩემი სკოლის მახლობლად სანაპიროზე, პატარა სკვერში დიდი რუსი პოეტის, ჭავჭავაძეების საამაყო სიძის ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი დაიდგა. მახსოვს, ახალდადგმულ მონუმენტზე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა, მისი ავტორის ვინაობა კი მე, იმხანად ყმაწვილმა, გაცილებით მოგვიანებით შევიტყვე, როცა ბატონი მერაბის. სხვა დიდებული ძეგლებიც გამოჩნდა საჯარო სივრცეში – ერეკლე II თელავში (რომლის 300 წლის იუბილეს სრულიად საქართველო წლეულს, 7 ნოემბერს, იზეიმებს), პეტრე ბაგრატიონი – ორთაჭალაში (მოგვიანებით, 1999 წელს, ბოროდინოს გმირის ცხენოსანი ძეგლი მოსკოვშიც დადგეს). საერთოდ კი, ალექსანდრე გრიბოედოვის თემა ახალგაზრდა მოქანდაკისთვის სადიპლომო ყოფილა, ხოლო ძეგლმა მოსკოვში გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა!

მეფე ერეკლე მეორე (თელავი)

სხვათა შორის, გრიბოედოვის ძეგლთან ერთობ საგულისხმო ამბავია დაკავშირებული: როცა ლენინგრადის ქარხანაში მას ბრინჯაოში ასხამდნენ, ახალგაზრდა მოქანდაკისთვის უკითხავთ – ქანდაკებაში ვერცხლი ხომ არ შევურიოთო?

– ამდენი ვერცხლი სად ვიშოვნოო? – დაბნეულა ბატონი მერაბი.

– აგერ, მახლობლად, ბაზრობაზე ხუთ მანეთად ნიკოლოზის ვერცხლის მონეტებს ყიდიანო, – მიუსწავლებიათ გამოცდილ ხელოსნებს. 100 ვერცხლის მონეტა შეუძენია მაშინ ბატონ მერაბს, რომლებიც გადაადნეს და ეს „კაპიტალი“ ქართველთა სიძის თავში „დააბანდეს“.

აქვე ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ წლების შემდეგ, უკვე შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში, ბატონმა მერაბმა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უფროსის ბიუსტიც შექმნა, რომელიც ამჟამად ტეხასის უნივერსიტეტის სადარბაზო ჰოლს ამშვენებს.

...ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა ბატონ მერაბ მერაბიშვილს სახელოსნოში დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ედუარდ ჰიტი ესტუმრა, ვიზიტისთვის განკუთვნილი 15 წუთი... სამსაათნახევრიან სტუმარ-მასპინძლობაში გადაიზარდა!

ბატონი მერაბის ზოგიერთ სხვა ცნობილ ნამუშევარსა და ცხოვრებისეულ ამბავზე მოგვიანებით მოგახსენებთ, ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამჟამად იგი, როგორც იტყვიან, „სულ ერთ ნაბიჯშია“ ცხოვრების მეტად ღირსშესანიშნავ თარიღთან, ამდენად, ვფიქრობ, სავსებით გასაგებია ჩემი სიხარული, როცა საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს **გიორგი კვესიტაძის** სურვილით ამაგდარი შემოქმედის შესახებ საგაზეთო პუბლიკაციის მომზადება გადაწყდა, ეს საპატიო და საამაყო მისია გაზეთის მთავარმა რედაქტორმა მე დამავალა.

სახელოვან ქართველ მოქანდაკესთან შეხვედრა იმით დაიწყო, რომ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ერთი გამორჩეული დიდი სახლის მყუდრო, კოპწია ეზოში, მამის პროექტით (რომელიც მეორე განათლებით არქიტექტორი იყო) აშენებულ ორსართულიან ნაგებობაში მიმიწვია, რომელსაც ოქროსფერი წარწერა აქვს: „კოტე და მერაბ მერაბიშვილების შემოქმედებითი სახელოსნო“ და სადაც დაუვიწყარი ექსკურსია მომიწყო.

ვიდრე სახელოსნოში გაბატონებულ დიდებასა და მშვენიერებას მაზიარებდა, ბატონმა მერაბმა მრავლისმთქმელად შემომხედა და მითხრა:

– ისე, თუ დაგაინტერესებთ, ჩვენი გვარი – მერაბიშვილები – წარმოშობით ქართლის სოფელ ნიჩბისიდანაა. წარმოშობითი გვარი კი ასპაანიძეა, რომელიც ამჟამად, სამწუხაროდ, სხვა გვარებშია გადასული.

ცოტა არ იყოს, მიჭირს იმ ამაღლებული ემოციების გადმოცემა, რომლებიც ჩვენი ერის შორეული თუ ახლო წარსულის არაერთი, აწ უკვე უკვდავებაში შებიჯებული სათაყვანებელი და საყვარელი პიროვნების ქანდაკებისა თუ სკულპტურული პორტრეტის ხილვამ აღმიძრა.

თუმცა კი პირველი, რამაც სახელოსნოში შესულს ჩემი ყურადღება მიიპყრო, კავკასიური ავაზას (ქართულად კი „ვეფხვის“, როგორც ბატონმა მერაბმა ამიხსნა) უზარმაზარი ქანდაკება იყო, რომელიც უშველებელ გველს კლავს. ამ დიდებული (ახლა კი ჩვენში უკვე გადაშენებული) ვეფხვის ასეთივე ბუმბერაზი ქანდაკება სახელოსნოს მეორე სართულზეცაა განთავსებული, ოღონდ იქ ამ ულამაზესი, უაღრესად მეტყველი სხეულის მქონე ცხოველის მარჯვენა ტორის ქვეშ ჯიხვის, იგივე ველური თხის თავია მოქცეული, რომელიც ისევე, როგორც გველი, ეშმაკის, ანუ ბოროტი ძალის განსახიერებაა – ყველას ხომ გვახსოვს: „ბოროტსა სძლია კეთილმან...“, საერთოდაც, საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ რუსთაველის თემა (ასევე ზოგიერთი სხვაც) მამა-შვილ მერაბიშვილების შემოქმედებაში გამჭოლია, გამორჩეული, ერთობ, საკრალურიც კი...

აუცილებლად უნდა ვთქვა ისიც, რაც, დარწმუნებული ვარ, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის: შოთა რუსთაველის ძეგლის მარჯვნივ და მარცხნივ ვეფხვების ქანდაკებები უნდა ყოფილიყო, მის უკან კი ავტორს კოლონადის განთავსება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ეს იდეა არ განხორციელდა! (შოთა რუსთაველის ძეგლის თემას კი მოგვიანებით კიდევ აუცილებლად დავუბრუნდები).

სახელოსნოში ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას, ან თაროზეა შემოდებული როგორც თავად ბატონი მერაბის, ასევე მისი მამის, ბატონი კოტეს ნამუშევრები, რომელთაგან ზოგს უკვე უკავია მიჩნეული ადგილი როგორც თბილისში, ისე მსოფლიოს სხვა ქალაქებში (მაგალითად, ბუდაპეშტში). ზოგი კი, სამწუხაროდ, დღესაც ელის „საჯარო სივრცეში გასვლას“, რაც ყველა ღირსეული ქანდაკებისთვის „სიცოცხლის შთაბერვის“ აუცილებელი პირობაა.

პირველი ქანდაკება, რომლის შესახებაც ბატონი მერაბი მესაუბრა, მამის გამოძერწილი დიდი ქართველი თეატრალური რეჟისორის სანდრო ახმეტელის ძეგლია, რომელიც თბილისში, მისივე სახელობის თეატრის წინ უნდა დაედგათ, მაგრამ...

დიდებული სანახავი გახლავთ ხელოვნების ამ ჭეშმარიტ „სამჭედლოში“ შეკრებილი საზოგადოება, რომლის წევრთა უმრავლესობა მამა-შვილ მერაბიშვილების მეგობრები არიან: კომპოზიტორები რეზო ლაღიძე, ბიძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი, დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი (მისი ავტორი ბატონი კოტე გახლავთ), აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, ექიმები კოწია ვეფხვაძე, ნიკოლოზ ყიფშიძე, მსახიობები ეროსი მანჯგალაძე, გიული ჭოხონელიძე, იპოლიტე ხვიჩია, მრავალი სხვა.

აუარება მცირე თუ საშუალო ზომის ქანდაკების გვერდით, თითქმის მითიურ ავაზასთან ერთად, ჩემი ყურადღება მიიპყრო საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი პიროვნების – ტოლდაუდებელი, ქვეყნის ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გამშლელის, ერის სიკეთესა და მომრავლებაზე დღენიადაგ მზრუნველი დავით აღმაშენებლის უაღრესად შთამბეჭდავმა ქანდაკებამ.

თვალის ერთი შევლებით თითქოს გასაკვირი უნდა იყოს დიდგორის ომის შემოქმედის, ტახტზე მსხდომი მეფის პოზა – მარჯვენა ხელში მახვილის მაგიერ მას წიგნი უჭირავს, მაგრამ ეს გელათის აკადემიის დამფუძნებლის ჩინებული განსწავლულობის, გონიერებისა და გამჭრიახობის უტყუარი მიმნიშნებელია, თუმცა კი მარცხენა ხელის მაგრად შეკრული მუშტი ქვეყნის ძველი თუ ახალი მტრისთვის ავისმომასწავებელი ნიშანი უნდა იყოს!

– ამ ძეგლის შექმნისას ვეცადე, გადმომეცა მეფე დავითის ბუნება და მისი მდიდრული შინაგანი სამყარო, – ამბობს ბატონი მერაბი. – იგი მთელი კავკასიის ინტეგრატორი, ქვეყნის „შემკრები“, გამაერთიანებელი, მასშტაბურად მოაზროვნე პიროვნება იყო.

სხვათა შორის, დიდგორის ბრძოლის წინა ღამე მას წიგნის კითხვაში გაუტარებია, რაც, ვფიქრობ, ბევრის მიმანიშნებელია.

სახელოსნოს მეორე სართულზე ერთგვარი დომინანტი, როგორც უკვე ვთქვი, უზარმაზარი ავაზაა, რომელიც მარჯვენა ტორით ჯიხვის თავს თრგუნავს. სხვა ქანდაკებები და ბიუსტები არაჩვეულებრივ გალერეას ქმნიან, რომლის პერსონები ბრძანდებიან მეფე ერეკლე II, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, მოსე თოიძე, მარტიროს სარიანი, იაკობ ნიკოლაძე, რომელიც მამა-შვილის მასწავლებელი იყო, „თბილისური“ პეტრე ბაგრატიონი, გურამ საღარაძე, ზაქარია ფალიაშვილი, ფირდოუსი, დოდო ჭიჭინაძე, ალექსანდრა თოიძე, ეგნატე ფიფია, ბეთჰოვენის მგზნებარე ფიგურა, მითიური პრომეთე (ანუ ჩვენებური ამირანი), რომლის შესახებ ბატონმა მერაბმა საინტერესო ამბავი მომითხრო:

– ჩემი ჩანაფიქრით, პრომეთე ძალიან დიდი ზომის ფიგურა უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 40 მეტრის სიმაღლისა, ის დაბა ყაზბეგის მახლობლად, კავკასიონის კალთებზე უნდა მდგარიყო, რომელთა კლდეს, მითის თანახმად, მიჯაჭვული იყო, ხელებზე კი ჩამოგლეჯილი ჯაჭვები უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, პროექტი ვერ განხორციელდა.

გამოჩენილ და ცნობილ ადამიანთა ქანდაკებებისა და ბიუსტების შესრულების ნიუანსებსა და გამომსახველობით მომხიბლაობაზე მსჯელობა, ჩემი აზრით, პროფესიონალ ხელოვნებათმცოდნეთა საქმეა, მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თითოეული მათგანი განუმეორებელ პიროვნულ ზემოქმედებას ახდენს მნახველზე, მათ შორის, ცხადია, ჩემზეც. ამან განუმეორებელი შეგრძნება დატოვა ჩემზე ისევე, როგორც ბატონი მერაბის არაჩვეულებრივმა ადამიანურმა გულთბილობამ, კეთილგანწყობამ და უზადო ერუდიციამ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.

აუცილებლად მინდა, აღვნიშნო ისიც, რომ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უზარმაზარმა სპილენძის ფარგალმა – ასეთებს მოქანდაკეები იყენებენ. თავდაპირველად ვიფიქრე – შუასაუკუნოვანი რელიკვიაა-მეთქი, მაგრამ მასპინძლის სიტყვებმა გამაოცა: მან კედელზე ჩამოკიდებული ფარგლისკენ ხელი გაიშვირა და მითხრა:

– აი, ეს ნივთი კი ოდესღაც დიდი ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის სამუშაო იარაღი იყო!

ამას ნამდვილად არ მოველოდი, ბატონმა მერაბმა კი თავისი განუმეორებელი ინტონაციით თხრობა განაგრძო:

– მას ძალიან საინტერესო ისტორია აქვს. მოგეხსენებათ, პარიზში იაკობ ნიკოლაძის მასწავლებელი, რომელიც მამა-ჩემის პედაგოგიც იყო და ჩემიც, როდენი გახლდათ. ბატონმა იაკობმა სამშობლოში წამოსვლა რომ დააპირა, მასწავლებლისთვის პირობა მიუცია – ცოტა ხანში აუცილებლად დავბრუნდებიო. – შენ უკან დამბრუნებელი აღარა ხარო, – უთქვამს როდენს, – მაგრამ, რადგან სიტყვას მაძლევ, აი, შენ ეს ჩემი ფარგალი, ჩემი სამუშაო იარაღი, რომელიც აუცილებლად უკან უნდა დამიბრუნო და ეს შენი აქ ჩამოსვლის საწინდარი იქნებაო. მოგეხსენებათ, ცნობილი ვითარების გამო, ბატონმა იაკობმა დანაპირები ვერ შეასრულა!.

მას შემდეგ როდენის ფარგალი იაკობ ნიკოლაძეს სახელოსნოში ეკიდა. როცა შოთა რუსთაველის ძეგლის კონკურსში

ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲧᲕᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)

მამაჩემმა გაიმარჯვა და პირველი ადგილი აიღო, მის პედაგოგ იაკობ ნიკოლაძეს მხოლოდ მესამე პრემია ერგო. მეორე დილით ბატონი იაკობი ოჯახში გვეწვია და მამას უთხრა:

– კონკურსში მონაწილეობას რომ ვიღებდი, რაღა თქმა უნდა, გამარჯვება მინდოდა, თუმცა შენ მაჯობე, ჩემო კოტე, მაგრამ ეს ამბავი დიდად მიხარია, ვინაიდან შენ ჩემი უნიჭიერესი მოწაფე ხარ. ახლა მე უკვე ასაკში ვარ, შენ კი ახალგაზრდა კაცი ხარ, ამიტომაც მინდა, რომ ჩემთვის ეს ყველაზე ძვირფასი ნივთი – როდენის ფარგალი – შენი იყოსო.

– წლების შემდეგ კი კიდევ ერთი მეტად საინტერესო ამბავი მოხდა, – განაგრძო ბატონმა მერაბმა, – საფრანგეთის „უკვდავთა აკადემიის“ პრეზიდენტი და მისი თანაშემწე ქალბატონი (სხვათა შორის, ეროვნებით ქართველი) თბილისში ბრძანდებოდნენ, ჩემთანაც იყვნენ და როდენის ფარგალში დიდი თანხაც შემომთავაზეს. წინადადებისთვის, ცხადია, მადლობა გადავუხადე, მაგრამ ვუთხარი, რომ ამ ნივთს არაფრის დიდებით არ გავყიდდი, თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ ის მე არ შემიძენია. შემდგომ კი, თუკი ჩემი შვილები ამ ხელოვნებას თავს დაანებებენ, მე მას ანდერძით საფრანგეთის „უკვდავთა აკადემიას“ დავუტოვებ.

ახლა კი ზემოთ დათქმულ პირობას შევასრულებ, რუსთაველის ძეგლის ამბავს დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ რუსთაველის ქანდაკებაზე მუშაობა, რომელიც დედაქალაქში 1942 წელს დაიდგა, ბატონ კოტეს იმ მრისხანე დროსაც კი არ შეუწყვეტია, როცა გერმანიის ჯარი კავკასიას იყო მომდგარი, სამთო მსროლელთა ელიტური დივიზიის „ედელვაისის“ ქვეითი ნაწილები ელბრუსზე ასულიყვნენ, ოსეთ-ინგუშეთ-ჩეჩნეთ-ინგუშეთ-ყაბარდოს ავტონომიურ ოლქ-ოლქ-ოლქ-

ტამანმა ანაკლია ჩაძირა?

ანაკლიის კლიმატური და გეოგრაფიული შესაძლებლობები ტამანისას ბევრად აღემატება

შავ ზღვაში რუსული პორტის – ტამანის მშენებლობა დასრულდა და ოპოზიციის ბრალდებებმაც არ დააყოვნა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მწვანე შუქი აუნთო რუსეთს ანაკლიის პორტის მშენებლობაში.

„ლელოს“ წარმომადგენლის **ბადრი ჯაფარიძის** თქმით, იმ დროს, როცა ანაკლიის განვითარების კონსორციუმს სხვადასხვა მეთოდით ებრძოდა საქართველოს მთავრობა, რუსეთის ხელისუფლება აფინანსებდა საკუთარ ღრმაწყლოვან პორტს. ამ კონკურენტული პორტის აშენებით კი საქართველომ უზარმაზარი ინვესტიცია დაკარგა.

ტამანის ღრმაწყლოვანი პორტი 220 ათას ტონამდე წყალწყვის სატვირთო გემების მიღებას უკვე შეძლებს. როგორც ცნობილია, ტამანის ახალი პორტი ქერჩის სრუტეში აშენდა. ტამანში წლიურად 60 მილიონი ტონა ტვირთის ტრანსპორტირება იქნება შესაძლებელი. ბაზარზე მოთხოვნისა და რუსეთის სარკინიგზო შესაძლებლობების გაზრდის შემთხვევაში, 18 თვეში შესაძლებელია ტერმინალის მოცულობა 100 მლნ ტონამდე გაიზარდოს. ტამანის ნავსადგურზე ერთდროულად 6 ხომალდის დატვირთვა შეიძლება.

ტამანის პორტის მშენებლობამ დაგვაკარგინა თუ არა დიდი ინვესტიცია?

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ადასტურებს, რომ ამ ეტაპზე ინვესტიცია მართლაც დავკარგეთ, რადგან ტამანის ღრმაწყლოვანი პორტის აშენება სერიოზული კონკურენციაა ქართული პორტებისთვის, თანაც, ტამანში ოთხი მისადგომია გამზადებული და ამ ეტაპზე ჩვენ რომ ჩამოვრჩით და არ მოხდა ამ პროექტის განხორციელება, ეს გარკვეულ გავლენას იქონიებს ჩვენი სატრანზიტო პოტენციალის განვითარებაზე.

თუმცა, ვახტანგ მაისაიას მოსაზრებით, სულ სხვა საკითხია, რატომ აკეთებენ „ლელოს“ წარმომადგენლები მკვეთრ განცხადებებს. აქ ბევრი ნიუანსია, მათ შორის, ისიც, „ლელოს“ უკან ვინ დგას, შეიძლება ვიღაცის ინტერესებს გამოხატავდეს ხაზარაძის მოძრაობა. რეალობა ისაა, რომ გამოცხადებულია ტენდერი, კონკურსი და ეძებენ ინვესტორს, ეს პროცესი გრძელდება, არავის დაუხურავს და ჩაუკლავს ანაკლიის პროექტი. უბრალოდ, შეიცვალა ამ პროექტის აქტორები.

„ჩვენდა სამწუხაროდ, ეს არ არის მაინცდამაინც კარგი ნაბიჯი, რომ მოგვიწია ცხენების გამოცვლა უშუალოდ ხიდზე. აგერ, ჩვენ დაგვასწრო ჩვენმა მტერმა და თავისი ადგილი დაიმკვიდრა შავი ზღვის აკვატორიაში. გარდა ამისა, ჩვენს სამეზობლოში კიდევ არის აქტაუს პორტი, კონსტანცას პორტი. ანაკლიას კარგი კლიმატური და გეოგრაფიული პრიორიტეტი ჰქონდა, რომელიც ტამანის შესაძლებლობებს ბევრად აღემატება. ტამანი სამი თვის განმავლობაში იქნება ბლოკირებული, არ ვიცი, როგორ ტექნოლოგიებს დანერგავენ ამ სირთულის დასაძლევად, მაგრამ ტამანს კლიმატური თვალსაზრისით პრობლემა ჰქონდა. ჩვენთან ეს პრობლემა არ იყო“, – აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ for.ge-სთან საუბრისას.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ ესეც ერთ- ერთი პროპაგანდისტული ტრიუკია, თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ რუსეთს მწვანე შუქი აუნთო და ვითომც „ოცნებას“ არ უნდოდეს ანაკლიის პორტის აშენება. სინამდვილეში, ასე არ არის, უბრალოდ, პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა და, რაც შეუძლებელია, იმას ვერ გააკეთებ. ასე რომ, თუ რუსეთმა მოინდომა, კრიჭაში ჩაგვიდგეს ამ პორტის გამო, რამდენიც არ უნდა ვიხტუნაოთ, ვერ განვახორციელებთ ამ პროექტს. მაშინ ამას სჭირდება ძალიან დიდი მობილიზება როგორც საერთაშორისო, ისე შიდა რესურსის.

„კომპრომისი უნდა ვიპოვოთ. საკითხი თუ დავაყენეთ ასე, ჩვენ ამ პორტს ვაშენებთ, რადგან რუსეთს ვებრძვით, ის პორტი არასდროს აშენდება. უბრალოდ, რუსები არ აგვაშენებინებენ. ეს იგივეა, ხაზარაძემ რომ თქვა, ესენი გზას იმიტომ აკეთებენ, რომ რუსის ტანკმა ზედ იაროსო. ეს ხომ აბსურდია, სად პორტი და სად რუსეთთან გეოპოლიტიკური დაპირისპირება? ანაკლიის აშენება ეკონომიკური პროექტია, თვითონ ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებები. რასაკვირველია, გეოპოლიტიკური განზომილება აქვს ამ პროექტს, მაგრამ ჩვენთვის წამგებიანია გეოპოლიტიკურ განზომილებაზე მოვახდინოთ აქცენტირება და რუსეთთან დაპირისპირება გავამწვავოთ. ჩვენ პატარა სახელმწიფო ვართ, რუსთაველი როდის ამბობდა, „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ჩვენი მიზანია, მტერი მეგობრად თუ ვერ ვაქციეთ, გავანეიტრალოთ მაინც. რუსეთს ჩიჩხინი დავუწყოთ, მე პორტს ვაშენებ და შენს ქერჩის პორტს დავძირავ ამით, დედას გვიტირებს.

კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ფელუკასა და გემის დაპირისპირება, დიდ გემს პატარა ფელუკა ებრძვის, გაუვლის, გამოუვლის, დაუპიპინებს, დაეჯახება, ერთხელაც ის გემი გადაუვლის. ამიტომ ჯერ რუკაზე შეხედონ რუსეთს და მერე საქართველოს“, – აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

მანანა ნოზაძე

სასიამოვნო პრეცედენტი

ნუ ვეძებთ პანტას თურაშაულის პატრონები!

უბედურებას რომ უბედურება მოსდევს, კანონზომიერებაა ეს, და არც მაკვირვებს. ავს ავი ებმის, სიდუხჭირეს სიდუხჭირე ემატება და ვაება ხომ ერთი გრძელი და გაუთავებელი ოხვრაა მაშვრალისა. თუ ასეა, რაღამ გაგვაძლებინა? მთის ტოლი შეჭირვებათა ლაბირინთები რარიგად გამოვიარეთ?

ამასთან, ჩვენზე გაცილებით სახელოვანი, რიცხვმრავალი და გამძლე ერებივით კი არ დავეცით და განვუტეხეთ სული, არამედ წავიჩოქეთ, უბრალოდ სული შევითქვით და მივყევით ჩვენს კუთვნილ გზაწვრილს. დიახ, წავიჩოქებდით ხოლმე სულის მოსათქმელად და ძალის მოსაკრებად. გაჭირვების დასაძლევად მოგვევლინებოდნენ ხოლმე დიდ-დიდნი მეფენი და მთავარნი: ქუჯის, მირიანის, ვახტანგის, დავითისა და გიორგის სახით. მერე და მერე სივიწროვესა და არასქონებასთან კარგად ნაცნობი ერისკაცნი, გამდიდრების შემდეგ მოძმე რომ არ დავიწყნიათ და ზოგიერთივით თავში კი არ ჩაურტყამთ, არამედ ლუკმა გაუყვიათ, ხელი წაუშველებიათ, წამოუყენებიათ და წელში გაუმართავთ. დიახ, გვყავდნენ ასეთები, ჭეშმარიტი მამულიშვილნი სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, აკაკი ხოშტარიას, ნიკო ნიკოლაძის, და სხვათა სახით. მთლად წმინდანიც გვყავდა, თავად შიმშილით რომ იშრიტებოდა და მიბარებულ ეროვნულ საგანძურს გახვრეტილ გროშსაც რომ არ აკლებდა. დიახ, გვყავდა ასეთი ზეკაცი ექვთიმე თაყაიშვილი და განა მხოლოდ ის.

თუმცა, არც თუ იშვიათად, მანკიერი შვილებიც ეზრდება ხოლმე ერს, აგერ დაგვატყდა თავს კორონა, მოგვიცვა ვაებამ. ლამის იყო დავძაბუნდით სულ, რომ არა ჩვენი სასახელო მედიკოსები. ჰოდა, ღვთის შეწევნით, გავდივართ, ვგონებ, ფონს. მაგრამ, რა ხდება? ზოგიერთები ისედაც შეჭირვებულ ხალხს, ცალკე ავი სენი რომ მოსდგომია, ცალკე ეკონომიკური სიძაბუნე, და ცალკე კიდევ ცხოვრებისეული შეჭირვება, არ გამოუხდნენ იოლად გამდიდრების მოსურნენი? ჰოდა, იცით რა ქნეს? მთავრობის თხოვნისა და დარიგების მიუხედავად ერთი-ორად გააძვირეს სურსათ-სანოვაგე, წამლები, მომსახურება. და იცით რა მოსაზრებით? ქვეყანა მაინც იქცევა და ბარემ ხელს მოვითბობთო. დიახ, გვყვანან ასეთი „თავდადებულებიც“, რომლებმაც ერთბაშად გააძვირეს შაქრის, კარაქის, ყველის, მაკარონის, წიწიბურას, ხორცის, ხორცპროდუქტების და სხვა აუცილებელი სანოვაგის ფასი.

დიახ, და ამ დროს, აგერ უკვე მესამე კვირაა, ერთ-ერთი სავაჭრო ორგანიზაცია, რომლის სახელი „მაგნიტია“, ტელევიზიით აცხადებს, თუ რომელ დღეს და რა სახის პროდუქტი იყიდება იაფად. დიახ, იაფად. პირველად, თქვენი არ იყოს, მეც შევჩქვიფდი, ხომ არაფერი მეშლება-მეთქი. მივუგდე ტელევიზორს ყური: "კვირას, ოცი პროცენტით იაფად, შეგიძლიათ უალკოჰოლო სასმელებისა და ტკბილეულის შეძენა." „მაგნიტის“ მარკეტებში კვირის შვიდსავე დღეს მიმდინარეობს ოცპროცენტიანი ფასდაკლება პროდუქტებზე.

დავიძარი საქმის უფრო ახლოდან გასაცნობად. რაც მთავარია, მაინტერესებს ის ადამიანები, რომლებსაც სულიერების ამ დეფიციტის დროს, ამგვარი დიდებული აზრი მოუვიდათ და თანამოძმისთვის ხელის წაშველება განიზრახეს.

არ დაგიმალავთ: „მაგნიტის“ მესვეურთ ვიცნობ, ჩვენს გაზეთში ამ ერთი წლის წინათ წერილიც კი გამოვაქვეყნე მათზე. მათ სასახელოდ უნდა განვაცხადო, რომ წერილში გამჟღავნებული საკითხი ფიცხლად და სამართლიანად მოაგვარეს. თავი რომ არ შეგაბეზროთ, უბრალოდ ვიტყვი, რომ „მაგნიტის“ მიზიდულობის ძალას, ძირიდადად სამი მანდილოსანი წარმოადგენს. ესენი გახლავან მმართველი თეონა გაბრიელაშვილი, ლელა კობახიძე და ნინო ხუციშვილი, ასევე, თანამშრომელთა ერთობ შეხმატკბილებული და საქმიანი პატარა, საოცრად მობილური კოლექტივი.

მოვრჩეთ ქალბატონების ქება-დიდებასა და განსჯას. ისინი დიდი ოჯახის ბრწყინვალე დიასახლისები არიან, მაგრამ „მაგნიტის“ სული და გული, მისი აკვნის დამრწევი ლაშა ჩოჩელია. „მაგნიტის“ პირველი მარკეტი მან 2015 წელს გახსნა. დიდი შრომისმოყვარეობა, გულითადობა და გარჯაა ჩადებული გაერთიანების შექმნაში. ამ 5 წლის განმავლობაში „მაგნიტის“ ფირნიშით 250-მდე მაღაზია ამოქმედდა ჩვენს ქვეყანაში.

დიახ, „მაგნიტის“ ქსელი მთელ საქართველოს ფარავს და არცთუ წარუმატებლად. მოუსვენარ გენერალურ დირექტორს გვერდით უდგანან და მხარს უმაგრებენ ერთგული თანამშრომლები: ნიკოლოზ აიაშვილი, ვლადიმერ გოგაშვილი, ია ნადირაშვილი, გიორგი ტაბახმელაშვილი და სხვები.

შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ ამ დიდებული წამოწყების მოთავე კოლექტივს. ამ ხალხის ძალისხმევით ათასობით ადამიანი პოულობს სიხარულს, რაც ასე ძვირად საძებარი გამხდარა. აბა წარმოიდგინეთ, გაერთიანებაში სავაჭროდ მისულ მომხმარებელს ყოველ ხუთ ლარზე ერთი ლარის პროდუქციას უბრალოდ ჩუქნიან, დიახ, ჩუქნიან.

გარდა აღნიშნულისა, „მაგნიტის“ კოლექტივი დღენიადაგ ეძებს და ახერხებს კიდეც ცხოვრებაში დანერგოს სხვადასხვა სახის შეღავათები. მავანი იტყვის, მუშტრის მოზიდვის მიზნით კეთდებაო ეს. დავუშვათ და ასეა, განა ცუდი რა დევს ამაში. უკეთური ენა რას არ იტყვის, „მაგნიტელებს“ იმათ ყურის საგდებად არ სცალიათ. ისინი ცდილობენ მომხმარებლებს შეჭირვებული ყოფა შეუმსუბუქონ.

...და ერთი რამ კიდევ. რაღა თქმა უნდა, რედაქციისა და პატივცემული მკითხველის ნებართვით, ერთ ამბავს გავიხსენებ. ეს 2016 წელს მოხდა, გორინიქოზის გზაზე ორი თუ სამი კაცი დავიმგზავრე. მუშა კაცები ჩანდნენ, სოფელ ქვეყნის საყრდენები და მოჭირნახულეები. ვიღაც გიორგიზე საუბრობდნენ, ცისა და ქვეყნის გულშემატკივრად და მედროშედ წარმოადგენდნენ, ალბათ დამგზავრებამდე დაწყებულ საუბარს აგრძელებდნენ. კაცები არა და არ იღლებოდნენ იმ ვიღაც გიორგის ქებით.

„ახლა ხომ მაისია, ნოემბერში კი არჩევნები გვაქვს, ჰოდა, წამოაყენეთ ის თქვენი გიორგი დეპუტატობის კანდიდატად, სანამ სხვები დაგასწრებენ და ვინმე ვიგინდარას შემოგაპარებენ“, – ვუთხარი მე დამშვიდობებისას.

კარგი აზრია, ასე ვიზამთო, შემპირდნენ. თუმცა, მათი მაჟორიტარი ხსენებული გიორგის აჩრდილიც არ არის. მათი რჩეული კაცი, კაჟა ბულავას პირით რომ ვთქვა, ექვსი შეასრულა და მეშვიდე მილიონზე მუშაობს ახლა.

ეს იყო სულ. გამოვფხიზლდეთ, ხალხნო. ნუ დავეძებთ პანტას თურაშაულის პატრონები!

დავით ასკურავა

გუდაური, ბაკურიანი და სვანეთი გელით!

ზაფხულის სეზონი უსაფრთხოების ზომების დაცვით იხსნება

დღეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ გუდაურში, ბაკურიანსა და სვანეთში ზაფხულის სეზონს 10 ივლისს ხსნის.

ზაფხულის სეზონის განმავლობაში ბაკურიანში (დიდველზე) ყველა საბაგირო ყოველდღიურ რეჟიმში 11:00 საათიდან 17:00 საათამდე იმუშავებს. გუდაურში ჩასულ დამსვენებლებს კი მოემსახურება „გუდაურა“ (გონდოლა) და კობი-გუდაურის საბაგიროები 11:00 – 17:00 საათამდე. სვანეთში იმუშავებს მესტია-ჰაწვალის დამაკავშირებელი და ზურულდის საბაგიროები 10:00 – 16:30 საათამდე.

მთის კურორტების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის აუცილებელია, ზამთრის კურორტები ოთხსეზონიანი გახდეს. ამ მიმართულებით ბაკურიანში (დიდველზე) მოწყობილია 6000-მეტრიანი საერთაშორისო დონის ველობილიკი.

ველობილიკი ფუნქციონირებს გუდაურშიც, რომლის სიგრძე 5000 მეტრია. ბილიკები გათვლილია როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული ველომრბოლელებისთვის.

დამსვენებლებისთვის ბაკურიანში (დიდველზე) ამიერკავკასიაში პირველი სამთო-სათხილამურო კურორტების დამატებითი ატრაქციონი „ტობოგანი“ – ე.წ. მთის ციგა იმუშავებს.

საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების პოპულარიზაციისთვის შექმნილია ფუნქციურად და ინფორმაციულად სრულყოფილი აპლიკაცია, რომელიც ერთი ბრენდის ქვეშ აერთიანებს ოთხ სამთო კურორტს: გუდაური, ბაკურიანი, გოდერძი, სვანეთი. აპლიკაცია უნიკალური გზამკვლევია, შესაბამისად მომხმარებელს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის მთის კურორტების შესახებ როგორც ზამთარში, ასევე ზაფხულში.

საქართველოს მთის კურორტებზე, ვიზიტორებში COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, მთის კურორტების განვითარების კომპანიამ შექმნა შესაბამისი რეგულაციები, რომელიც მოიცავს: საბაგიროების დღის ბოლოს სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებას, გონდოლაში (დახურული საბაგირო) 4 ადამიანის შეშვებას ჭადრაკისებური პრინციპით და მხოლოდ პირბადით. რაც შეეხება ღია სავარძლის ტიპის საბაგიროებს – 6-ადგილიან საბაგიროზე დაიშვება 3 ადამიანი, 4-ადგილიან საბაგიროზე კი 2 ადამიანი, ოჯახის შემთხვევაში პლუს ბავშვი. მომხმარებლები ვალდებულები არიან, დაიცვან 2-მეტრიანი დისტანცია, სალაროსთან ანგარიშსწორების შემდეგ ხელები დაიმუშაონ სადეზინფექციო ხსნარით, საბაგიროში შესვლამდე კი გაიარონ თერმოსკრინინგი.

მობილური მაღაზია გურიაში

ოზურგეთში, შალვა რადიანის სახელობის დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ახალი ონლაინ პლატფორმის – „მობილური მაღაზია გურიაში“ წარდგინება გაიმართა, – ამის შესახებ ინფორმაციას გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

https://mobmarket.ge/ ინოვაციური და უნიკალური პროექტია, რომელიც შექმნილია მხოლოდ გურიის რეგიონისთვის და მიზნად ისახავს მოქალაქეების უსაფრთხო მომსახურებას, ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობას, COVID-19-თან დაკავშირებული რისკების შემცირებას.

„მიმდინარე წლის მარტის თვეში, როცა პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციები ამოქმედდა, ჩვენ მივიღეთ მყისიერი გადაწყვეტილება, რომ მიკროავტობუსები, რომლებიც იქამდე აგრარულ ბაზრებს სოფლის მეურნეობის პროდუქტით ამარაგებდა, „მოძრავ მაღაზიებად“ გვექცია. პროექტმა გაამართლა და წარმატებული გახდა. დღეს ბოსტნეულით, ბურღულეულით თუ პირველადი მოხმარების პროდუქტით დატვირთული 20-მდე მიკროავტობუსი, დადგენილი გრაფიკის მიხედვით, ემსახურება ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს. სწორედ გურიის ამ ინიციატივას პასუხობს პროექტი „მობილური მაღაზია გურიაში“, – განაცხადა გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ.

https://mobmarket.ge/-ზე დარეგისტრირების შემთხვევაში: მომხმარებელი შეუკვეთავს და „მობილური მაღაზიის“ მეშვეობით მიიღებს მისთვის სასურველ პროდუქტს, ფერმერი/მეწარმე „მობილური მაღაზიის“ ბაზაში დაასაწყობებს საარეალიზაციო პროდუქციას, ხოლო მუნიციპალური მთავრობა კოორდინაციას გაუწევს „მობილური მაღაზიის“ პროექტს.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს იზა შარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** იზა შარია (პ/ნ 62006023010), ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №21ვ, სართული 3-4, ბინა №62.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №21ვ, სართული 3-4, ბინა №62 (საკადასტრო კოდი: 03.05.02.651.01.062).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17280.69 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 9 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 22 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66561720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 665617
6. **მოვალე:** იზა შარია (პ/ნ 62006023010), ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №21ვ, სართული 3-4, ბინა №62;
ბადრი ყოლბაია (პ/ნ 62006050247), ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №21ვ, სართული 3-4, ბინა №62.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66561720; ლოტის ნომერი: 665617).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 22 ივლისის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ფიზულ აბილოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ფიზულ აბილოვი (პ/ნ 01027011933), ქ. თბილისი, ფონიჭალა, 3 მ/რ, კორპ. 3, ბინა 43.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, ფონიჭალა, 3 მ/რ, კორპ. 3, ბინა 43 (საკადასტრო კოდი: 01.18.13.024.001.01.043).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9719.34 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 10 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 22 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66578320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 665783
6. **მოვალე:** ფიზულ აბილოვი (პ/ნ 01027011933), ქ. თბილისი, ფონიჭალა, 3 მ/რ, კორპ. 3, ბინა 43;
ნინო ახუნდოვი (პ/ნ 24001048555), ქ. თბილისი, ფონიჭალა, 3 მ/რ, კორპ. 3, ბინა 43.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66578320; ლოტის ნომერი: 665783).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 22 ივლისის 10:00 საათამდე.

◎ შხამის დოზა

ვარსკვლავებზე სისინამდე პირი კარგად გამოირეცხეთ!

ინატრე და მოგეცემაო, ისეა ჩვენს ვაიკოლეგათა საქმე. ბუნებრივია, ინფორმაციის მოძიება და გავრცელება მასმედიის ფუნდამენტური ფუნქციაა, მაგრამ, რა მტკიცება უნდა, რომ ეს ინფორმაცია ობიექტურობითა და სანდოობით უნდა გამოირჩეოდეს და არა ნებისმიერი საშუალებით პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების განზრახვით. აღარაფერს ვამბობ სიბინძურესა და მარაზმში გადაზრდილ იმ მეთოდოლოგიაზე, რომელსაც თავისი მერკანტილური, ვიწროპარტიული მიზნების მისაღწევად საზოგადოების ფსიქოლოგიურად დაზაფვრის მისიით „მოღვაწე“, სკანდალებზე მონადირე ეს ჩვენი ჭორნალისტები იყენებენ.

ერთი შეხედვით, მათი მცდელობა – ოპერატიულობით გამორჩეული სენსაციური სიახლეები მიაწოდონ მოსახლეობას, გამართლებულიც კი გახლავთ, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, მოვლენათა სწრაფად გაანალიზება და პროფესიული სინდისით მომზადებული ინფორმაციის გავრცელება ჩვენს, ხშირ შემთხვევაში, უმადურ საქმიანობაში ერთგვარ ქვაკუთხედს წარმოადგენს, მაგრამ..

აი, სწორედ აქ მივადექი იმ საკითხს, წერილის დასაწყისში ცნობილი გამოთქმის სახით რომ წაიკითხეთ უკვე. დიახ, თითქოს საკბილო თემების ნაკლებობას უჩიოდეს წინასაარჩევნო წუმპეში ჩაძირული ტელეგესტაპო „მთავარის“ კაროჟნა ეკა კვესიტაძე, ამ რამდენიმე დღის წინათ მენიუს გამრავალფეროვნება ინატრა, სპორტისთვისაც მოიცალა და ინტერვიუ გახმაურებული ფაქტის შემდეგ სამშობლოდან სერბეთში გადახვეწილ სახელოვან ქართველ ფალავანთან, ევროპის ორგზის ჩემპიონ ზურაბ დათუნაშვილთან გამოაცხო...

კეთილი და პატიოსანი, რესპონდენტის შერჩევას თოქ-შოუს ავტორს ვერავინ ავუკრძალავთ, თუმცა, როცა ეს მიკროფონიანი ზონდერი, თუნდაც ქალად წოდებული, პირდაპირ ეთერში დაუკრეფავში გადადის, ვფიქრობ, ერთი-ორი „სმეშნოი“ სიტყვით მას მსგავსის გამეორების სურვილი შეძლებისდაგვარად უნდა მოვუკლა.

საუბარია იმ კონტრაქტზე, რომლის გაფორმების შემთხვევაშიც, ანუ ჯერაც არდაბადებული ბავშვისათვის სახელის დარქმევისა არ იყოს, ჩვენი საამაყო მამულიშვილი, ევროპის თასის 2010 წლის მფლობელი და ესპანეთის წლევანდელი ჩემპიონი **თორნიკე შენგელია** შთამბეჭდავ საკალათბურთო კარიერას ევროპული საკლუბო სპორტის ერთ-ერთ გრანდ ცსკა-ში გააგრძელებს.

წესითა და რიგით, თუ თანამემამულისთვის სიკეთე გსურს, მას პერსპექტივის თვალსაზრისით ასეთი ნაბიჯის გადადგმას უნდა ულოცავდე, მაგრამ როდესაც ცრუმედასავლეთე ნაცშპანის რუპორობაზე აცხადებ საფუძვლიან პრეტენზიას, დიახაც, ურაპატრიოტიზმს უნდა გაუგორო კოჭი და რუსული, თანაც არმიის, გუნდის მაისურით შესაძლო თამაში თანამედროვე ქართული სპორტის ერთ-ერთ კაშკაშა ვარსკვლავს ლამის ერის ღალატად და გამოუსყიდველ ცოდვად უნდა ჩაუთვალო. მოკლედ, ვირისგან წიხლი რა საწყენიაო, ისეა ამ შემთხვევაშიც საქმე.

არა და, ხომ გაატარა მოსკოვში 2014-2015 წლების სეზონი მანუჩარ მარკოიშვილმა? რა მოაკლდა მას ამით – ოსტატობა, საკალათბურთო სამყაროში მანამდე მოხვეჭილი ავტორიტეტი თუ ქართველ გულშემატკივართა დაფასება და სიყვარული?

სხვათა შორის, ეტყობა, ქალბატონმა ეკამ გადაცემისათვის მომზადებისას ითაკილა და არხის სპორტულ სამსახურთან არ გაიარა კონსულტაცია, თორემ, დარწმუნებული ვარ, რომ იქ დააკვალიანებდნენ, ოკუპანტი ქვეყნის სხვადასხვა სახეობის კლუბებში არაერთი ქართველი ლეგიონერი რომ თამაშობდა, თამაშობს და, უნდა თუ არა მას, ითამაშებს კიდეც მომავალში, რადგან ასეთია ძალად გაპოლიტიკანებულისგან თავისუფალი სპორტული ცხოვრება.

და ბოლოს: ეროვნული მოძრაობის აღზევების ჟამს „წვეროსანთა“ ზეწოლის შედეგად მოსკოვის „სპარტაკთან“ ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტი ჩაეშალა კახი ცხადაძეს, რამაც მისი კარიერა გარკვეულწილად შეაფერხა. იქნებ, ის მაგალითი მაინც გამოგვადგეს ჭკუის სასწავლებლად.

გია პლატონიშვილი

◎ შარო, საიდან მოდიხარ...

ხალიჩიდან - საკნამდე

როცა ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (72 კგ) იური ლომაძე დაღესტნის ქალაქ კასპიისკში დასრულებული ფორუმის შემდეგ დოპინგზე ჩავარდა და მედალი ჩამოართვეს, ეტყობა, მისი ახალგაზრდული ასაკით გამოწვეული „ოფოფები“ ზემოთაც გაითვალისწინეს და შედარებით ხანმოკლე დისკვალიფიკაცია აკმარეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფარცაგს ისევ არ ძინავს და ეს უდავოდ თვითნაბადი ტალანტი და ორიგინალური სტილის „კლასიკოსი“ ფალავანი მორიგი სკანდალის გმირი გახდა.

საუბარია ფეხბურთელ ძმასთან – ლაშა ლომაძესთან და ბიძაშვილებთან ერთად მისთვის ადამიანის გატაცებისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის წაყენებულ ბრალზე, რაც ორიდან ათ წლამდე სასჯელს გულისხმობს. საქმე რომ კონტინენტის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონის კარიერის არა მხოლოდ კიდევ ერთხელ დროებით დაპაუზებას, არამედ, შესაძლოა, საერთოდ დანგრევას ეხება, იმ ფაქტიდანაც იკვეთება, რომ იური ლომაძე უკვე იმყოფება ორთვიან წინასწარ პატიმრობაში.

ისე, შარო საიდან მოდიხარო, სწორედ იმ შემთხვევაზე იტყვიან, რომელმაც სპორტსმენი, ტოკიოს ოლიმპიადისთვის რომ უნდა ემზადებოდეს, ციხის კარამდე მიიყვანა.

ალბათ, დაგაინტერესებთ, მაინც როგორ გადაბრუნდა ურემი? მოკლედ მოგახსენებთ, რომ საბიძაშვილო ოჯახური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მამიდაშვილს გამოესარჩლა და ურჩ სიძეზე შური იძია.

აღსანიშნავია კურიოზული ფინიშიც: მართალია, ცოლ-ქმარი მალევე შერიგდა, მაგრამ რამდენიმე დღეში „მურტალმა ნათესავმა“ მოყვრებს სასამართლოში უჩივლა.

მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით აღვიჭურვოთ და მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ.

კოგა კოგახიძე

◎ პროფესიონალი

ასეთია მისი ტაქტიკური კრედო

ეთერ თუთბერიძე მსოფლიოს ყველაზე „ტოქსიკურ“ მწვრთნელთა სიაში შეიყვანეს



ფიგურულ სრიალში რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი ეთერ თუთბერიძე მსოფლიოს ყველაზე „ტოქსიკურ“ მწვრთნელთა სიაში შეიყვანეს. რეიტინგი იაპონურ საიტზე Elle გამოქვეყნდა.

ეთერის დიდი ხანია აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მისი მოსწავლეები ჩემპიონები ადრეულ ასაკში ხდებიან, შემდეგ კი „იკარგებიან“. თუთბერიძის ზოგი მოსწავლე კვების რეჟიმის დარღვევის გამო სხვადასხვა დაავადებით იტანჯება და კარიერას ადრე ასრულებს – ამტკიცებენ ჟურნალისტები და მაგალითად 2014 წლის ოლიმპიური ჩემპიონი იულია ლიპნიცკაია მოჰყავთ, რომელსაც ანორექსია ჰქონდა. რუსეთელის გარდა, ყველაზე „ტოქსიკურ“ მწვრთნელთა სიაში მოხვდნენ საკალათბურთო გუნდ „ბოსტონ რედ სოქსის“ თავკაცი ალექს კორა, რომელსაც თაღლითობაში ადანაშაულებენ, ფიგურული სრიალის ფრანგი მწვრთნელი ჟილ ბეიერი და სამხრეთკორეელი შორტ-ტრეკის სპეციალისტი ჩო ჩჟე ბომი, რომელსაც ბრალი მოსწავლეთა გაუპატიურებაში ედება.

ჩვენი თანამემამულის მეთოდი არაერთხელ მოექცა კრიტიკის ქარ-ცეცხლში. 2020 წლის მარტში ფინელმა მოციგურავე კიირა კორპიმ მასთან ვარჯიში ქარხანაში მუშაობას შეადარა და მისი ტაქტიკური კრედო „არაადამიანური კულტურის გამოვლინებად“ შეაფასა.

ფიგურულ სრიალში რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი ეთერ თუთბერიძე 1974 წლის 24 თებერვალს მოსკოვში, მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. იგი წარმატებით სრიალებდა რუსეთის „ყინულზე ბალეტში“, 18 წლის ასაკში კი აშშ-ში გადავიდა ყინულის შოუ – „Ice Capades“-ში სამუშაოდ. ამერიკულ შოუში 5 წლის მანძილზე ასპარეზობდა. იქვე დაიწყო მისი სამწვრთნელო კარიერა. 1994-1998 წლებში ამერიკაში მოღვაწეობდა, მერე კი რუსეთში დაბრუნდა.

2014 წლის ოქტომბერში, როდესაც თუთბერიძის აღსაზრდელებმა თავბრუდამხვევ შედეგებს მიაღწიეს, მას გადაეცა ორდენი „მამულის წინაშე დამსახურებისთვის“. სწორედ მან მოამზადა 2014 წლის ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშების ერთეულთა ფიგურულ სრიალში გამარჯვებული იულია ლიპნიცკაია, რომელმაც, ასევე, მოიპოვა ოქროს მედალი ევროპის ჩემპიონატზე უნგრეთში. თუთბერიძის მეორე შეგირდს – სერგეი ვორონოვს ამავე ფორუმზე ვერცხლის მედალი ერგო.

ვიტალი ჯაფარიძე

რატომ გაძვირდა ნაყინი?

ნაყინის მწარმოებელმა კომპანიებმა პროდუქციის ფასი გაზარდეს. როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი, სეზონურ პროდუქტზე ფასი საშუალოდ 10 პროცენტით გაიზარდა. „თოლიას“ დირექტორი გიორგი ჭყონია აცხადებს, ფასის ზრდა ქვეყნებში მიმდინარე ინფლაციური პროცესებითაა გამოწვეული. მისი თქმით, ბიზნესს კორონავირუსმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა, თუმცა ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებასთან და ტემპერატურის მატებასთან ერთად მდგომარეობა ნელ-ნელა დასტაბილურდა.

ფასები საშუალოდ 10 თეთრით გაიზარდა **გურჯაანის ნაყინზეც**. ჭყონიას მსგავსად **შპს „აისი-გურჯაანის ნაყინის“ გენერალური დირექტორი გურამ ბერიკაშვილიც** აცხადებს, რომ ნაყინის წარმოებისთვის საჭირო ინგრედიენტების ფასი საგრძნობლადაა გაზრდილი, რის გამოც ბიზნესი იძულებული გახდა, საფასო პოლიტიკა გადაეხედა.

„კამპანიამ მაისი-ივნისის ახალი გეგმა შეიმუშავა და მივყვებით ამ გეგმას. კორონავისურის პანდემიამ 2 თვე ჩაგვიგდო, ჩვენ ადრე ვიწყებთ მომზადებას და სეზონსაც ადრე ვხსნით ხოლმე. წინა წელთან შედარებით გაყიდვების კუთხით კლება არ გვაქვს, მივდივართ სტაბილურად. ამინდი თუ შეიცვლება და ვირუსის მეორე ტალღა გავრცელდა, ალბათ ჩვენც დაგვეტყობა. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა. რაც შეეხება ფასს, პროდუქცია გაძვირდა შარშანაც, წელსაც და მომავალ წელსაც გაძვირდება, რადგან ნედლეულის ფასი ყოველწლიურად იმატებს. სხვადასხვა ნედლეულზე სხვადასხვა პროცენტით გაიზარდა, შემიძლია გითხრათ, რომ საშუალოდ 10 პროცენტით გაძვირდა“, — განაცხადა გიორგი ჭყონიამ.

„თავიდან კორონავირუსმა ბიზნესზე უარყოფითი გავლენა იქონია, ხალხი ვერ გადაადგილდებოდა, გაყიდვები დაახლოებით ათჯერ შემცირდა, ჩვენც შეზღუდულები ვიყავით. პრაქტიკულად კომპანია გაჩერებული იყო, ახლა მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა, გასულ წელთან შედარებით გაყიდვები თითქმის იდენტურია. ფასები შეიცვალა, პროდუქტების ფასი საგრძნობლად გაძვირდა, ინგრედიენტები რომელიც ჩვენ გვჭირდება — კარაქი, შაქარი, რძის ფხვნილი — გაძვირებულია, რის გამოც დაახლოებით 10 თეთრით მოიმატა ნაყინზე ფასმა. სეზონს ბევრი სიახლით შევხვდით, ასორტიმენტი გავზარდეთ, ვირუსის არ გვეშინია, ვმუშაობთ 24 საათი“, — აცხადებს გურამ ბერიკაშვილი.

ბაჩო ადამია

სანთელი

ფრიდონ ხუფაცარიას ხსოვნას

იშვიათია ადამიანი, რომელიც ისე დამკვიდრებულიყოს მეუღლის მშობლიურ კუთხეში, ისე შეთვისებულიყოს იქაურ ადათ-წესებსა და სამეზობლო-სანათესაოს, ისე შეეყვარებინოს ადგილობრივებს, როგორც ფრიდონ ხუფაცარიამ შეძლო. ორსანტიიდან ჩამოსული 19 წლის ბიჭი მართლაც ყველასათვის საფიცარი და საიმედო გახდა. თითქმის ორმოცი წელი გაატარა ჩვენს კუთხეში, აღზარდა ორი შვილი, ამაყობდა და თავს ევლებოდა სამ შვილიშვილს და მოულოდნელად 58 წლის ასაკში დატოვა ამქვეყნიური სიამტკბილობა და ზეციურ საქართველოს შეუერთდა. ყველას გულდასაწყვეტი და მძიმე წუთები დაგვიდგა — მოსიყვარულე ოჯახს, სამეზობლო-სანათესაოსა და მთელ კუთხეს, მაგრამ ჩვენი დარდი რას მივა მშობელი დედისა და ფრთამოტეხილი დედმამიშვილების უდიდეს მწუხარებასთან, შენი ნაადრევი წასვლით რომ გაამწარე. გემშვიდობებით ძვირფასო ფრიდონ, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ჩვენი სოფლის მიწა, კუთხისა, რომელიც უზომოდ გიყვარდა.

დიდი გულისტკივილით სამეზობლო და სანათესაო სოფელ მარნიდან

შალვა და მიშიკო მგალობლიშვილები ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეზობლის

ფრიდონ ხუფაცარიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

ნონა, გულიკო, თემურ, ვალოდია ბრელიძეები, კახა სალია, რუსუდან, ნესტორ ჩიხლაძეები, გია გაბრიჭიძე, რიტა, გელა ტატანაშვილები, მარინა კანდელაკი ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან ახლობელი ადამიანის

ფრიდონ ხუფაცარიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს, სიდედრს ზაირა ხოშტარიას და სხვა ჭირისუფალთ.

საქართველოში ფასები მუდმივად პიკზეა

მსოფლიოში ძირითადი სასურსათო პროდუქტების გაძვირება დაიწყო. პანდემიის პირველი ტალღის ჩავლის შემდეგ, ფასები მაღლა დაიძრა. საქართველოში გაცილებით უარესი ვითარებაა, რადგან ჩვენთან საგანგებო რეჟიმის პერიოდში, მკვეთრად დაცემული მოთხოვნის პირობებშიც კი, **არანორმალურად ძვირდებოდა სურსათი და არც ეკონომიკის გახსნის შემდეგ დასტყობია ბაზარს სიიაფე.**

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) ფასების ინდექსის მიხედვით, სამომხმარებლო კალათის 5 ძირითად პროდუქტზე (რძე, მარცვლეული, მცენარეული ზეთი, შაქარი, ხორცი), ფასები, ბოლო სამი თვის მანძილზე, პირველად, 2.4%-ით გაიზარდა და 93.3 ქულა შეადგინა.

ოთხთვიანი უწყვეტი კლების შემდგომ, ივნისში, მცენარეულ ზეთზე ფასმა 11.3%-ით მოიმატა. გაძვირების მიზეზად პალმის ზეთზე გაზრდილი მოთხოვნა სახელდება, რომელსაც საფუძვლად უდევს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის მოხსნა ან შემსუბუქება. ფასების ზრდას ხელი შეუწყო პროდუქტის საწარმოო პროცესის შეფერხებამ, რაც მუშახელის ნაკლებობას უკავშირდება. მცენარეულ ზეთთან ერთად მომატებულია სოიოს, მზესუმზირისა და რაფსის ზეთის ფასიც.

ფაო-ს შაქრის ფასების ინდექსი მაისის თვესთან შედარებით 10.6%-ითაა მომატებული. ნედლი ნავთობის ფასების მატებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შაქრის გაძვირებას. ეთანოლი, რომელიც ნედლი ნავთობის წარმოებაში გამოიყენება, შაქრის ლერწმისგან მიიღება, შესაბამისად, ეთანოლზე გაზრდილი მოთხოვნის ფონზე, შაქრის ექსპორტიორმა ქვეყნებმა, მათ შორის ბრაზილიამ, უფრო მეტი ეთანოლი აწარმოა, ვიდრე შაქარი, რამაც ბაზარზე პროდუქტის დეფიციტი შექმნა.

4%-ითაა გაზრდილი რძისა და რძის პროდუქტების ფასების ინდექსი. ფასების ზრდა გამოიწვია რძისა და რძის პროდუქტებზე გაზრდილმა მოთხოვნამ ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში, რასაც თან დაერთო პროდუქტის შემცირებული მარაგები ევროპაში და ოკეანეთში.

წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 0.6%-ითაა შემცირებული ხორცის ფასების ინდექსი. საქონლისა და ფრინველის ხორცზე ფასის ვარდნის მთავარ მიზეზად პროდუქტის უხვი მარაგები სახელდება. ამის საპირისპიროდ, მცირედით გაზრდილია ღორის ხორცის ფასი, ძირითადად ევროპაში, რაც ასევე საგანგებო მდგომარეობის მოხსნას უკავშირდება.

ფაო-ს სტატისტიკა და მსოფლიოში ფასების მერყეობა არაფერია იმასთან შედარებით, რაც საქართველოში ხდება. მას შემდეგ, რაც „საქსტატმა“ ივნისის თვის ინფლაციის ანგარიში გამოაქვეყნა, აშკარა გახდა, რომ წელს მთელი ქვეყანა ტოტალური სიძვირისთვის არის განწირული. წლის დასაწყისიდან წლიურმა ინფლაციამ 6.1% შეადგინა, თუმცა განსაკუთრებით საგანგაშოა ცალკეული სამომხმარებლო ჯგუფების მიხედვით ფასების ცვლილება: ივნისში სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები გაიზარდა 13.6 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 4.15 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია ხილსა და ყურძენზე (46.5 პროცენტით), რძის ნაწამზე და კვერცხზე (17.2 პროცენტით), თევზეულზე (15.8 პროცენტით). გაძვირებულია ყავა, ჩაი და კაკაო (14.8 პროცენტით), ზეთი და ცხიმი (13.5 პროცენტით), ხორცი და ხორცპროდუქტები (13.1 პროცენტით), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (12.6 პროცენტით), პური და პურპროდუქტები (10.0 პროცენტით), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (9.3 პროცენტით).

10 ყველაზე გაძვირებული პროდუქტი კი, რომლებზეც ყველაზე მეტად გაიზარდა ფასი 2020 წლის ივნისში ასე გამოიყურება: წიწიბურა — ფასი გაიზარდა 122,8%-ით, ვაშლი — 95,6%-ით, საქალაქთაშორისო ტელეფონის გადასახდელი — 68,3%-ით, ლიმონი — 49,8%-ით, მწვანე ლობიო — 48,9, ქორწინების 958 სინჯის ოქროს ბეჭედი — 48,1%-ით, ნიორი — 47,4%-ით, ფორთოხალი — 44,4%-ით, ყურძენი — 40,6%-ით, კივი — 40,0%-ით.

ექსპერტები პანდემიისა და ლარის გაუფასურების მიუხედავად, ასეთ ინფლაციას და ციფრებს არ ელოდნენ. ისინი ამბობენ, რომ დღეს ქვეყანაში გვაქვს როგორც სტაგნაცია, ისე ინფლაცია და არ შეიძლება, ეს ყველაფერი მხოლოდ კორონავირუსს დაბრალდეს. პირველ რიგში, ეს ეროვნული ბანკის არასწორი ფისკალური პოლიტიკის შედეგია.

„პანდემიას ვერაფრით დაბრალდება ძირითად სასაქონლო ჯგუფებზე ფასის მატება. კორონავირუსმა გამოიწვია ის, რომ გლობალური მასშტაბით და მათ შორის, საქართველოშიც შემცირდა მოთხოვნა და მიწოდებაც. ასეთ პირობებში, ფასების ზრდის მოთხოვნის ფაქტორი, ფაქტობრივად, აღარ არის, რადგან ადამიანს თუ არ გააჩნია საკმარისი შემოსავალი, მას არ ექნება დამატებითი მოთხოვნა და ამ მოთხოვნის ხარჯზე ვერ მოიმატებს ინფლაცია“, — განაცხადა სტატისტიკოსმა **სოსო არჩვაძემ**.

გარდა ამისა, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, რამდენიმე ათეული პროცენტითაა გაზრდილი მედიკამენტების ღირებულება, მათ შორის, ყველაზე მოთხოვნად წამლებზეც.

გეძა დანელია

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის მილიციის თანამშრომლები. 1971 წელი. პირველ რიგში მარცხნიდან პირველი მილიციის მაიორი გრიგოლ შონია.

ძმურად გაიყოფენ

კემბრიჯის და სასექსის ჰერცოგები მათი დედის მემორიალური ფონდის შემოსავლების გაყოფაზე შეთანხმდნენ.

შესაბამისი შეთანხმება პრინცების საქველმოქმედო ფონდებს შორის გასული წლის დეკემბერში გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, კემბრიჯის ჰერცოგის ფონდი პრინცესა დაიანას ფონდის შემოსავლის ნახევარს სასექსის ჰერცოგის ფონდში გადარიცხავს.

შეთანხმება ჰარის და მეგან მარკლის სამეფო ოჯახიდან წასვლამდე რამდენიმე ხნით ადრე გაფორმდა. მას შემდეგ მათმა საქველმოქმედო ფონდმა მუშაობა შეწყვიტა. ამიტომ, პრინცესა დაიანას მემორიალური ფონდისგან მიღებული თანხები სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას გადაერიცხება, რომელსაც ჰარი აირჩევს. პრინცმა ჰარიმ და მეგან მარკლმა 8 იანვარს გაავრცელეს განცხადება იმის შესახებ, რომ სამეფო ოჯახის მაღალი რანგის წევრების სტატუსს ტოვებენ და ფინანსური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მუშაობას აპირებენ, ცხოვრებას კი დიდ ბრიტანეთთან ერთად კანადაში გააგრძელებენ.

მასკის ახალი ავტომობილი

კომპანია Tesla ძალიან მალე სრულად ავტონომიურ ავტომობილს შექმნის, — ამის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელმა, ილონ მასკმა განაცხადა.

ვიდეოფორმატში გამართული ხელოვნური ინტელექტის ყოველწლიური მსოფლიო კონფერენციის გახსნაზე მასკმა აღნიშნა, რომ სრული ავტომატიზაციის ტექნოლოგიით აღჭურვილი ავტომობილი 2020 წლის ბოლომდე იქნება მზად.

მისივე განცხადებით, Tesla გაგრილების ახალ სისტემებზე მუშაობს, რაც ავტომობილებში უფრო სრულყოფილი კომპიუტერების გამოყენების საშუალებას იძლევა.

საავტომობილო ინჟინრების საზოგადოება (Society of Automotive Engineers) ავტომობილების ავტომატიზაციის ექვს დონეს ასახელებს, საიდანაც ნულოვანი მძღოლის მიერ სრულად კონტროლირებად ავტომობილს, მეხუთე კი სრულ ავტომატიზაციას გულისხმობს.

კომენდანტის საათის გამოცხადებას არეულობა მოჰყვა

სერბეთის დედაქალაქში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ზომების გამკაცრებას არეულობა მოჰყვა.

მშვიდობიანი საპროტესტო აქცია სამართალდამცველებთან შეტაკებაში გადაიზარდა. აქცია პარლამენტის შენობასთან დაიწყო, რომელსაც რამდენიმე ათასი ადამიანი ესწრებოდა.

მოგვიანებით კი, პროტესტის მონაწილეები სხვადასხვა ქუჩებში მიმოიფანტნენ. პოლიციამ მათ დასარბევად ცრემლსადენი აირი გამოიყენა. აქციის მონაწილეებმა კი, მათ სხვადასხვა საგნები დაუშინეს. ქუჩაში გამოყვანილი იყო ჯავშანტექნიკაც.

მოქალაქეთა პროტესტი პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩის გადაწყვეტილებამ განაპირობა, რომელმაც პარასკევიდან ორშაბათამდე პერიოდში კომენდანტის საათი დააწესა.

სამი შიდსიანი პაციენტი განიკურნა

ბრაზილიელი მეცნიერების განცხადებით, აივ ინფექციისგან (შიდსი) მსოფლიოში მესამე პაციენტი განიკურნა. ამის შესახებ Science წერს. 36 წლის კაცი, რომელსაც აივ ინფექცია ჰქონდა, მკურნალობის ე.წ აგრესიულ კურსს გადიოდა. მას ანტირეტროვირუსულ პრეპარატებს ასმევდნენ. ასევე ნიკოტინამიდს (-ვიტამინი B3) რომელიც დაზიანებულ უჯრედებს აიძულებს გააღვიძოს ლეტალური ვირუსი, რომელიც იმუნიტეტს იცავს. პაციენტის მკურნალობა 2019 წელს შეწყდა. გამოცემის ცნობით, კაცის სისხლში ვირუსი გაქრა. იმისთვის, რომ მეცნიერები ბოლომდე დარწმუნდნენ, რომ პაციენტმა აივ ინფექცია დაამარცხა, ისინი მის ლიმფურ კვანძებს და კუჭს გამოიკვლევენ.

ამ დრომდე, დადასტურებულია, რომ მსოფლიოში აივ ინფექციისგან ორი ადამიანი განიკურნა. ეს ამერიკელი რაე ბრაუნი და ბრიტანელი ადამ კასტილეჰოა. მათ სისხლის კიბოს სამკურნალოდ ძვლის ტვინი გადაუნერგეს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

სლოვენიაში მელანია ტრამპის ძეგლი დაწვეს

ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედის სამშობლოში, სლოვენიაში მისი ხის ქანდაკება დაწვეს.

ინციდენტი ქალაქ სევნიცაში ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს მოხდა. საქმეს ადგილობრივი პოლიცია იძიებს. იანვარში სლოვენიაში პრეზიდენტ ტრამპის ქანდაკებაც დააზიანეს. ხის ძეგლი აშშ-ის პირველ ლედის 2019 წლის ივლისში დაუდგეს. ქანდაკების ავტორი ამერიკელი მხატვარი ბრედა დაუნია.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0594; ევრო - 3.4507;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8350;
100 რუბლი - 4.3040; თურქული ლირა - 0.4457;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7996;
1000 სომხური დრამი - 6.2872.

ამინდი 8 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge